საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი, 16 ოქტომბერი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთის ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. ხელმოწერით განცხადება ჩვეულებრივ ზომის (15 × 2) 400 მანეთი. ნისიად განცხადებას არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 235 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 235

## საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი შვილი ელენე დიმიტრის ასული და სიძე ილია ივანეს ძე მამულაიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 16 ოქტომბერს დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ პირველის დედის და მეორის სიდედრის ძვირფას

**მარიამ აბესალომის ასული მამინაიშვილისა**

წირვა წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დილის 10 ს. და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე შუადღის 12 ს. (3336—2—2)

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ანტონ იესეს ძე მამინაიშვილი აუწყებს ნათესავებს და ნაცნობთ, რომ შაბათს, 16 ოქტომბერს დანიშნული გარდაცვალებულ მეუღლის

**მარიამ აბესალომის ასულის მამინაიშვილისა**

წირვა გადახდილ იქნება წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დილის 10 ს. და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე შუადღის 12 ს. (3336 2—2)

---

ღრმად დამწუხრებულნი ამხანაგები სასტუმრო ორიანტისა აუწყებს ნათესავ მეგობრებს, ამხანაგ-ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას ამხანაგის ბესან გოცირიძის მეუღლისი

**პოლისკა იოსების ასული გოცირიძისას**

დაკრძალვა მოხდება კვირას, 17 ოქტ. სოფელ ხოტევში. (რაჭის მაზ.) (3351—1—1)

---

დამწუხრებული პერისუფლები: მული აგრაფინა და სიძე კოწია ლოლაძეები ვაუწყებთ უდროვოდ გარდაცვალებას ძვირფასის რძლისას

**პოლისკა იოსების ასული გოცირიძისა**

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფელ ხოტევში. (3349 1—1

---

უნუგეშო მწუხარებაში მყოფნი ნოე გლახუნის ძე და მარიამ ივანეს ასული სიხარულიძეები შვილებით: ვალოდიათი, მოზათი და თოლიათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულად და უდროოდ გარდაცვალებას პირველთა ძვირფასი შვილის და მეორეთა ძვირფასი ძმის

**ავთანდილის**

პანაშვიდები ყოველ დღე დილის 10 ს. და საღ. 6 ს. დიდი მთავრის ქ. № 68. მიცვალებულს გამოასვენებენ კვირას, პარაკლისი დიდუბის ეკლესიაში. გამოსვენების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

ნესტორ გლახუნის ძე და ოლღა არჯევანის ასული სიხარულიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულად და უდროოდ გარდაცვალებას ძვირფას ძმისწულის

**ავთანდილის**

პანაშვიდები ყოველ დღე დილის 10 ს. და საღ. 6 ს., დიდი მთავრის ქ. № 68. გამოსვენება კვირას, პარაკლისი დიდუბის ეკლესიაში. გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

ივანე ხოსოს ძე და მარიამ თედორეს ასული ხორჩილავები შვილით გიორგი ივანეს ძით და რძლით დარო ივანეს ასულით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი შვილიშვილისას და მეორენი ძმისწულისას

**ავთანდილის** გარდაცვალებას.

პანაშვიდები ყოველ დღე დილის 10 ს. და საღ. 6 ს. დიდი მთავრის ქ. № 68. მიცვალებულის გამოსვენება კვირას. პარაკლისი დიდუბის ეკლესიაში გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

ღრმად დამწუხრებული ნ. გ. სიხარულიძის სასტუმროს გამგე შ. შ. ციპინი აუწყებს ნათესავებს და ნაცნობთ ძვირფას და საყვარელ 10 წლის

**ავთანდილის**

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 13 ოქტომბერს, საღ. 6 ს. პანაშვიდები ყოველდღე, დილის 10 ს. და მიცვალებულის გამოსვენება კვირას. პარაკლისი დიდუბის ეკლესიაში. გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. საღ. 6 ს. (დიდი მთავრის ქ. № 68).

---

სასტუმრო „ნოე“-ს და ნ. გ. სიხარულიძის მამულის მოსამსახურეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფას

**ავთანდილ ნოეს ძე სიხარულიძის**

ტრაღიკულად უდროოდ გარდაცვალებას, პანაშვიდები ყოველ დღე, დილ. 10 ს. და მიცვალებულს გამოასვენებენ კვირას. პარაკლის დიდუბის ეკლესიაში. გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. საღამ. 6 ს. (დიდი მთავრის ქ. № 68).

---

სასტუმრო „ნოე“-ს მოსამსახურეთა ცენტრალური არტელი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს 10 წლის

**ავთანდილ ნოეს ძე სიხარულიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე, დილ. 10 ს. და მიცვალებულს გამოასვენებენ კვირას. პარაკლისი დიდუბის ეკლესიაში, გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. საღ. 6 ს. (დიდი მთავრის ქ. № 68).

---

თფილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო ამით აუწყებს გიმნაზიის მოწაფეთ, მშობლებს და განსვენებულის პატივისმცემელთ, რომ გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს კვირას, 17 ოქტომბერს, დილის 11 საათზე დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია პანაშვიდი დაუვიწყარ დირექტორის

**მიხეილ უარამანის ძის ზაალიშვილი**

სულის მოსახსენებლად. (3361—1—1)

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ოლია ნესტორის ასული, დედა ელათი, სიდედრი ბაბინე ეფრემის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 14 ოქტომბერს თფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

**ალექსანდრე თედორეს ძე წეროძე**

გასვენება ს. სამებაში (გურია) 16 ოქტომბერს. დაკრძალვა ს. სამებაში სამშაბათს 19 ოქტომბერს. (1—1)

---

ღრმათ დამწუხრებული ბიძები ლავრენტი და ტიტიკო, ბიცოლები: ნადია და მარო და ბიძაშვილები: ალექსანდრე და თამარა დოლიძეები აუწყებენ ნათესავებთ და მეგობრებს ძვირფასი

**ალექსანდრე თედორეს ძე წეროძის**

უდროვოთ გარდაცვალებას. გასვენება სამებაში 16 ოქტ. (3360 1—1)

---

გულდაკლულნი გიორგი ბესარიონის ძე და მავრა ნესტორის ასული ოდიშარიები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 14 ოქტომბერს 5 საათზე ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი პირველის ქვისლი და მეორეს სიძე

**ალექსანდრე თედორეს ძე წეროძე**

გასვენება ს. სამებაში (გურია) ამ თვის 16 ს საღ. ნავთლუღიდან. დაკრძალვა ს. სამებაში სამშაბათს, 19 ოქტომბერს. (3360—1—1)

---

ღრმათ დამწუხრებულნი, ქმარი დათიკო დაობლებული შვილებით და სამუდამოთ მკვდარნი დედა-მამა ნაპალეონი და ოლღა იაშვილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათ გამოეცალათ ახალგაზრდობით გაუხარებელი პირველისა ძვირფასი ცოლი და მეორეთა საყვარელი შვილი

**ნინა ნაპალეონის ასული წერეთლისა**

დაკრძალვა მოხდება სოფელ ქვარისას 16 ოქტომბერს. (3359—1—1)

---

გარდაიცვალა

**მარიამ ნესტორის ასული ათაძე**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ, ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის შვილები: ვიქტორია, დომადი, ლეო და რეზო მეულები ნინო და მარიამ ნაკაშიძეები, ეკატერინე კრემერი, ელისაბედ ანთაძე, მაზლები: სამსონ, ალექსანდრე და იოსებ ანთაძეები. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიიდან შაბათს 16 ოქტომბერს დილის ცხრა საათზე, დაკრძალვა ვერის წმინ. ნინოს სასაფლაოზე. (3354—1—1)

---

განუზომელ მწუხარებაში მყოფნი: მშობლები დედა მარო, მამა ფილიპე, ძმები: ვანიჩკა, ტარასი, ბენია. დაი თამარა ბიძაშვილი ნიკიფორე, მარკოზ და გაბრიელ, ბიცოლები მართა და ანნა თოდრიები: ბიძა ლადიმერ, ბიცოლა ეუჯენტი, ბებია მინა გიორგაძეები: აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს უდროვოთ დაკარგულს და მათთვის დაუვიწყარს

**ლიზიკოს**

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას 17 ოქტომბერს სოფ. ანეული. (გურია). (3355—1—1)

---

## სახელმწ. თეატრი.

**ოპერა.**

15 ოქტომბერს

### ბალეტის საღამო

მიხეილ მორდკინისა.

16 ოქტ. ოპერა მუშებისათვის აბესალომ და ეთერი. 17 ოქტ. ფაუსტი და ვალპურგიის ღამე.

ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი. (ნ. 1—1)

---

## სახალხო სახლი

კვირას, 17 ოქტომბერს. პოეტ ნ. ჩხიკვაძის გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო, მგოსნის ობლების სასარგებლოდ ჰმართავს საღამოს.

I.

**ივ. გომართელი და გრ. რობაქიძე**

წარმოსთქვამენ სიტყვას ნ. ჩხიკვაძის შემოქმედებაზე.

II.

**„ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწილეს“**

2 მოქ. კომედია. მონაწ. მ. ქართველიშვილი, ს. ანკარა, ბ-ნნი გოცირიძე, ა. ა. მეტრეველი, ა. თევდგერიძე და მგრალიშვილი.

III.

**კონცერტები და დეკლამაცია**

ქ-ნი: ლ. პოლიეოდა და ბ-ნნი ვ. ლორთქიფანიძე და ზინონი შეასრულებენ ქართულ რომანსებს ი. ზარდალიშვილი, ვ. რუხაძე და ობოლი მუშა წაიკითხავენ ნ. ჩხიკვაძის ლექსებს.

IV.

**თაგუნა წაიკითხავს იუმორისტულ მოთხრობას.**

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

---

## მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

### „მწყემსს“

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი

**მეცხვარეთ.**

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობიდან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე ის მატყლის საბოლოვოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. . . . . 10 პროც.

2) მეცხვარეს—ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხნახევარი მეათედი ე. ი. . . . . . 45 პროც.

3) სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი ე. ი. . . . . . . 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ გარეთის ბაზარზე.

(ნ. 10—9) მომარაგების სნისამიტრო.

---

## განცხადება

1 ოქტომბერს, დაიწყო მოქმედება თფილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობმა საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ

**მომხმარებელ კოოპერატივებს**

და სადაც ამნაირი არ არიან—იქ თემებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

**მომარაგების სამინისტროს**

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“; რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

**მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან**

**აკრძალულია**

სახელმწიფოს საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) **საშუალო ღირსების გაურეცხავი მატყლი . . . 4000 მ.**

ბ) **სუფთა ახალგორის და სხვა რაიონების . . . 4500 მ.**

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები

**ვალდებულნი არიან**

ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

**შენიშვნა:** სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

(ნ. 10—9) მომარაგების სამინისტრო.

---

## სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21, ტელ. 8—07)

**სეზონის 1920—1921 წლისა**

შაბათს, 16 ოქტომბერს

### გუშინდელნი

პიესა 3 მოქმედებად შალვა დადიანისა.

**შემსრულებელნი:** ვასილ აბაშიძე, სუზანა ბეჟანიშვილი, მიხეილ გელოვანი, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, იუზა ზარდალიშვილი, პლატონ კორიშელი, არეთა ლოლუა, მიხეილ ლორთქიფანიძე, ანდრია მურუსიძე, მიხეილ სარაული, პ. ფრანგიშვილი, ანეტა ქიქოძე, ოლ. ლოლობერიძე, ე. ციმაკურიძე, ნინო ჩხეიძე, მიხეილ ჭიაურელი. რეჟისორი **მიხეილ ქორელი**. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია. **ანონსი:** კვირას, ოქტომბრის 17-ს „ოიდიპოს მეფე“. ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან, ნაშუადღევის 3 საათამდის. და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის.

---

## თფილისის მთავრობის კომერციული

სასწავლებელი ამით აცხადებს, რომ გაეროვნებულ (ქართულ) მე-V მე-VI კლასებში არის თავისუფალი ადგილები მოწაფეთათვის, თხოვნების მიღება გრძელდება. სასწავლებლის მისამართი: ჩუღურეთი, 19 თებერვლის ქუჩა, № 2. (3287 7—4)

---

## ზავი საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის

საშინელი ომის და ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის, როგორც იქნა, ჩამოვარდა დროებითი ზავი. სამხედრო მოქმედების შეჩერება საბჭოთა რუსეთმა იყიდა აშკარა დათმობის ფასით. ის საზღვრები, რომელიც დაიდო პოლონეთსა და მეზობელ სახელმწიფოთა შორის, ძალიან შორს სცილდებიან პოლონეთის ეთნოგრაფიულ საზღვრებს. სხვა პირობებიც ამჟღავნებენ, რომ საბჭოთა რუსეთისათვის აუცილებელი იყო ზავი, რა დათმობითაც უნდა ყოფილიყო იგი ნაყიდი. ზავის პირობებში არც ერთი სიტყვა აღარ არის პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ. ეტყობა, ბოლშევიკებმა აღარ გაიხსენეს ის მოთხოვნა პოლონეთში მუშათა და გლეხთა მთავრობის შემოღების და მუშათა ლეგიონების დაარსების შესახებ, რომელიც წარუდგინეს მათ პოლონეთს ამ რამდენისამე თვის წინეთ იმ დროს, როდესაც წითელი ჯარები ვარშავაზე მიიწევდენ. დღეს ჯერი პოლონეთზე მიდგა; ზავის პირობები იმის მომასწავებელია, რომ პოლონეთს მოუნდომებია, თავის მხრით, ისარგებლოს იმ გამარჯვებით, რომელიც მის ჯარებს ხვდათ წითელ არმიასთან ომში უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში. პოლონეთის საზღვრების უზომოდ გაფართოება, პოლონეთის გაჭიმვა აღ. დასავლეთ—დვინიდან დნესტრამდე იმის ნიშანია, რომ მისი მესვეურნი თავის-თავს გამარჯვებულათ სთვლიან.

ასე თუ ისე ზავი ჩამოგდებულია. საბჭოთა რუსეთის მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამიერიდან რუსეთს აღარ დასჭირდება სამხედრო ფრონტზე ზრუნვა დასავლეთის მხრითო. მკითხველებმა კარგათ იციან ჩვენი შეხედულება იმ ომზე, რომელსაც პოლონეთი აწარმოებდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ჩვენ მუდამ იმ აზრისა ვიყავით, რომ რაც უფრო მალე დადგება რუსეთში მშვიდობიანობა, რაც უფრო მალე გაქრება იქ კონტრ-რევოლიუციის საფრთხე, მით უფრო ჩადგება კალაპოტში შინაური ცხოვრება, მით უფრო მალე მოეღება იქ ბოლო „კომუნისტურ“ ექსცესებს და მით უფრო მალე დადგება დრო თვით „კომუნიზმის“ ან სრული ლიკვიდაციის, ან მისი „მოშინაურების“. ასეთი წამი სასურველია არა მარტო რუსეთისთვის, არა მარტო რუსეთის დემოკრატიისთვის, არამედ იგი თავის საკეთილო გავლენას იქონიებს მთელი მსოფლიოს საქმეებზე. ასეთი წამი სასურველია ყველაზე უწინ საბჭოთა რუსეთის მეზობელ სახელმწიფოთათვის, რომლებისათვისაც ბუნებრივს საჭიროებას შეადგენს მშვიდობიანი ურთიერთობა რუსეთთან.

პრესაში არა ერთხელ გამოთქმულა შიში, რომ საბჭოთა რუსეთი დასავლეთის ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ თავის სამხედრო მოქმედებას გააძლიერებს სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ და ამ გაძლიერების სუსხი ამიერ-კავკასიასაც მოხვდებაო. ადგილობრივი ბოლშე-

# დღეს

ხომხეთსა და ოსმალეთს შორის ბრძოლა გრძელდება. ზოგიერთ მიმართულებით სომხები უტევენ ოსმალებს.

გერმანული პრესის ცნობით გერმანელ დამოუკიდებელთა კონგრესზე გალეში 220 ხმით წინააღმდეგ 158 ხმისა გადაუწყვეტიათ მხარი დაუჭირონ მოსკოვის ინტერნაციონალს გუშინ კი ლონდონიდან ცნობა იყო, რომ დამოუკიდებლებმა მოსკოვის ინტერნაციონალთან შეერთების წინადადება უარყვეს 254 ხმით წინააღმდეგ 174 ხმისა.

ლიონის ცნობებით საბოლოო ზავი საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის ორი კვირის შემდეგ იქნება ხელმოწერილი.

პარიზსა და ლონდონს შორის გრძელდება მოლაპარაკება ზარალის ანაზღაურების საკითხის შესახებ, გადაწყვეტილია ზარალის ანაზღაურების კომისიის წევრთა კონფერენცია ბრიუსელში შედგეს.

ვიკების, მეტადრე ადერბეიჯანის სათავეში მოქცეული თურქოფილ-კომუნისტების ქცევა, მართალი ვთქვათ, ამნაირ ეჭვებს საფუძველსაც აძლევს.

ის თავდასხმა, რომელსაც ადერბეიჯანი ან პირდაპირ აწარმოებს სომხეთის წინააღმდეგ ან ქემალ-ფაშის მხარის დაჭერით ააშკარავებს, ამ ეჭვებისათვის საკმაო საბუთს იძლევა; ასეთსავე საბუთს იძლევა ის ყალთაბანდობა, რომელსაც ადერბეიჯანი იჩენს საქართველოს მიმართ და რომელმაც თავი იჩინა იმ ფაქტში, რომ იგი ხელს არ აწერს მის წარმომადგენლების მიერ მიღებულს ხელშეკრულობას და საქართველოს არ აძლევს დაპირებულს ნავთს და სხვა საგნებს.

მიუხედავათ ამისა, ჩვენ არ გვგონია, რომ საბჭოთა რუსეთის მესვეურებმა გამოიჩინონ იმდენი პოლიტიკური სიბეცე, რომ ხმარი დაუჭირონ ადერბეიჯანში მოკალათებულ „ამხანაგებს" და მათი პოლიტიკა გაიზიარონ: მოკლე დროში მათ მეტათ ბევრი თვალსაჩინო გაკვეთილი მიიღეს იმის შესაძენად, თუ რა ძნელია თავდასხმითი ომის წარმოება თუნდაც მცირე ერის წინააღმდეგ, თუ რა რთული პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოიტანოს თუნდაც სულ პატარა ავანტიურამ.

გარდა ამისა საბჭოთა რუსეთს ჯერ კიდევ ხანგრძლივი და ძნელი ომი მოუწევს შინაურ რეაქციასთან, რომელმაც ძლიერ მაგარი და საშიში ბუდე აიშენა ყირიმში და რომელთან ბრძოლაც მოითხოვს, რომ სხვა მეზობელ სახელმწიფოებში შექმნილი იყოს საბჭოთა რუსეთისათვის ხელსაყრელი სულიერი განწყობილება.

## საეკონომიო-საფინანსო წერილები *)

### IX

**ფონდიანი და უფონდო შემოსავალი.**

საერთო შემოსავლის (ყველა შემოსავლების საერთო ჯამის) კვალობაზე გადასახადი თუმცა თეორიულად საუკეთესოა და შესაძლებელია ამ სისტემით განხორციელდეს დაბეგვრის ერთიანობა და მისი უნიფიკაცია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერც ერთი სახელმწიფო ვერ დაეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ ამ სისტემას. სადაც ეს სისტემა შემოღებულია, იქ ძალაში დარჩა სხვა გადასახადებიც. „იქ სადაც არსებობს საკმაოთ განვითარებული რეალური გადასახადი", ამბობს ებერტი, „შეიძლება ზოგიერთი ცვლილებით ამ სისტემის ძალაში დატოვება და მასთან ერთად შემოღება საერთო შემოსავლის კვალობაზე გადასახადისა. ასეთი კომბინაციით შეიძლება სამართლიანი მდიდარი მომავლის მქონე პირადი (საერთო შემოსავლის კვალობაზე) გადასახადის განმტკიცება. ასეთი შეერთებით საგრძნობლად შესუსტდება სიძნელე, რომელიც თან ზდევს რეალურ გადასახადის პრინციპიდან საერთო შემოსავლის კვალობაზე გადასახადის პრინციპზე გადასვლას". საერთო შემოსავლის კვალობაზე გადასახადის, რომელიმე სხვაგვარ გადასახადთან შეერთების სასარგებლოდ ლაპარაკობს შემდეგი: შემოსავალი შეიძლება იყოს ფონდიანი და უფონდო. ფონდიანი ეწოდება იმ შემოსავალს, რომელსაც მუდმივი წყარო აქვს, მაგალითად—ადგილ-მამული, შენობები, კაპიტალი, ე. ი. უძრავ მოძრავი ქონება. უფონდოა ისეთი შემოსავალი, რომლის წყაროს ცვალებადი ხასიათი აქვს,—მაგალ., სამუშაო ქირა, პროფესიული მუშაობა და სხ. ფონდიანი შემოსავალი უფრო უზრუნველყოფილი და ხანგრძლივია და უფრო უზრუნველყოფილია მისი პატრონი. უფონდო შემოსავალს დროებითი ხასიათი აქვს, ამიტომ ფონდიანი და უფონდო შემოსავლების პატრონების ერთნაირად დაბეგვრა არ იქნებოდა სამართლიანი, და საზოგადოებრივი სინიდისი მოითხოვს ფონდიან შემოსავალზე უფრო დიდი გადასახადის დაწესებას, ვინემ უფონდოზე. ამ სამართლიანი მოთხოვნილებას ახორციელებენ ორი გზით: ან საერთო შემოსავლის კვალობაზე გადასახადის ნორმებს ადიდებენ ფონდიან შემოსავალზე, ან და ფონდიანი და უფონდო შემოსავალს ერთნაირად ბეგრავენ, მაგრამ ამ შემთხვევაში უძრავ-მოძრავი ქონების შემოსავალი, ე. ი. ფონდიანი შემოსავალი, კიდევ ცალკე რეალური გადასახადებით იბეგრება. ამნაირათ ფონდიან შემოსავალს გადასახადი მეტის სიმძიმით აწვება, ვიდრე უფონდოს.

### X

**სხვა და სხვა სისტემების აუცილებლობა.**

უკანასკნელ დროში ზოგიერთი სახელმწიფო ბეგრავს გადამხდელს ყოველნაირი შემოსავლის საერთო ჯამს საერთო შემოსავლის კვალობაზე დაბეგვრის პრინციპით. ამ სისტემით უფონდოზე მეტად იბეგრება. ეს სამართლიანია, მაგრამ დღევანდელ პირობებში მარტო საერთო შემოსავლის კვალობაზე გადასახადი ხშირათ დაუდევარ და ფლანგველ მესაკუთრეს ხელმომჭირნესთან შედარებით ნაკლებს გადაახდევინებს. მართლაც შემოსავლის კვალობაზე გადასახადთან ერთად თუ ქონების კვალობაზედ გადასახადი არ არსებობს, მაშინ მიწის ორ თანასწორ ნაჭერთაგან ის ნაჭერი, რომელიც დათესილია, იბეგრება შემოსავლის კვალობაზე გადასახადით, ხოლო მეორე თანაბარი ნაჭერი, რომელზედაც პატრონმა თავისი სახიამოვნოთ ბაღი გააშენა, გადასახადისაგან თავისუფალი დარჩება, ქონების კვალობაზე გადასახადი კი ამ უსწორ-მასწორობას სპობს.

ამ რიგათ დაბეგვრის უნიფიკაცია მომავლის საქმედ რჩება, ჯერჯერობით კი აუცილებელია პარალელი არსებობა სხვა და სხვა სისტემისა. ჯერჯერობით მხოლოდ დაბეგვრის სხვა და სხვა ფორმის შეთავსებით ძალუძს სახელმწიფოს გამოარკვიოს მცხოვრებთა ხარჯ გადახდის უნარიანობა სამართლიანად დაბეგროს ისინი.

### XI

**რეალური გადასახადი კომუნას.**

ბევრს სახელმწიფოში შემოსავლის კვალობაზე გადასახადების შემოღებას თან დაჰყვა ზოგიერთ წყაროების, მაგ., რეალურ გადასახადების, თვითმართველობათა ხელში გადაცემა, უკანასკნელთ აგრეთვე მიეცათ ნება შემოსავლის კვალობაზე გადასახადზედაც თავის სასარგებლოდ დამატების დაწესებისა. პრუსიაში ეს დამატება სახელმწიფო ნორმების 250% დე შეადგენდა, როგორც ვხედავთ არც თეორია და არც პრაქტიკა არ ეწინააღმდეგება იმას, რომ შემოსავლის კვალობაზე გადასახადის უმეტესი ნაწილი გადაეცეს თვითმართველობას. ასეთი გადაცემის სასარგებლოდ ლაპარაკობს კიდევ შემდეგი მოსაზრება. თვითმართველობის დაინტერესება შემოსავლის კვალობაზე გადასახადში დიდათ სასარგებლო იქნება გადამხდელების შემოსავლების გამორკვევის და თვით გადასახადის სამართლიანათ გაწერის საქმეში. ის, რაც შეიძლება ვერ შეამჩნიოს ცენტრალურ ორგანომ, ადგილობრივ თვითმართველობას იშვიათათ გამოეპარება.

### XIII

**შემოსავლის კვალობაზე გადასახადი ინგლისში.**

განსაკუთრებით საყურადღებოა ინგლისის შემოსავლის კვალობაზე გადასახადი; იგი საერთო შემოსავლის კვალობაზე გადასახადის საფუძველზე აგებულ რეალურ გადასახადების სისტემას წარმოადგენს და დაყოფილია ხუთ—ხარისხად ან „Schaduls". შედულა A ხდება სახლებისა და ადგილმამულის, მათი საჭირო ქირით განსაზღვრულ წლიური შემოსავლისი, ვალის პროცენტებისა და მზგავს ხარჯების გამორიცხვით. შედულა B. ბეგრავს მოიჯარადრის შემოსავალს საერთო შეფასების მიხედვით, ხოლო მოიჯარადრეს შემოსავალი განისაზღვრება ინგლისში შედულა A-ში დადგენილ შემოსავლის ნახევრით. შოტლანდიასა და ისლანდიაში კი მესამედით. შედულა C ბეგრავს პროცენტებს, დივიდენდებს და სხვა ამ გვარ შემოსავალს. შედულა D ეხება წინა შედულებში არ გათვალისწინებულს ყველა სხვა შემოსავალს, სახელდობრ: 1) ვაჭრობა-მრეწველობის შემოსავალს, 2) თავისუფალ პროფესიისა და დაქირავებული შრომის შემოსავალს, 3) არა მუდმივ შემოსავალს, 4) შედულა C-თი დაუბეგრავ სახელმწიფო ფონდების შემოსავალს, 5) უცხო ქვეყნებსა და ახელშენებში მოთავსებულ კაპიტალის მოგებასა და 6) დანარჩენ სხვადასხვა სახის წლიურ შემოსავალს. ბოლოს შედულა E ეხება საზოგადო და სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურების შემოსავალს.

თუ გადამხდელის საერთო შემოსავალი არ აღწევს 160 გირ. სტერლინგს, ის თავისუფალია გადასახადისაგან, თუ საერთო შემოსავალი 160 გირ. სტ.—400 გ. სტ. აღწევს, 160 გ. სტ. თავისუფალია გადასახადისაგან, 400—500 გ. სტ. შემოსავლიდან თავისუფლდება 150 გ. სტ. 500—600 გირ. სტერლინგიდან თავისუფლდება 120 გ. სტ., 600—700 გ. სტ. თავისუფლდება 70 გ. სტ. ამნაირათ დაბალ საფეხურებზე გადასახადს დეგრესიული ხასიათი აქვს. გადასახადის ნორმები ისაზღვრება ყველა ცალკე შემთხვევაში. 1905 წლიდან გირვანქა სტერლინგი იბეგრებოდა 1 შილინგით, ე. ი. გადასახადი უდრიდა შემოსავლის 5%, 1910 წ. ეს ნორმა გადიდდა 1 შილინგიდან—1 შილ. 2 პენსამდე, ე. ი. 5%—5, 84%-დი, გარდა ამისა თუ შემოსავალი აღემატება 5000 გირ. სტერ., ყოველი სტერლინგი 3000-ზე ზევით იბეგრება 6 პენსით, ე. ი. 2 1/2 %, პირადი შრომის შემოსავალზე გადასახადის ნორმა, თუ ეს შემოსავალი არ აღემატება 3000 გ. სტ., დაწესებულია 9 პენსი გირვანქა სტერლინგზე, ე. ი. 3,75%; აგრეთვე თუ გადამხდელის შემოსავალი არ აღემატება 500 გ. სტ., მას უფლება აქვს დასაბეგრავ თანხიდან გამორიცხოს იმდენი ათ-ათი გირვანქა სტერლინგი, რამდენიც 16 წლისაზედ უმცროსი ბავში ჰყავს.

დ. თოფურიძე.

## სასურსათო წვრილმანები

ამას წინეთ მთავრობამ დაადგინა ერთგვარი შეღავათი შექმნას პურის გამოტანაში იმითთვის, ვისაც საკუთარი მამული აქვს პურიან მაზრებში და მისცეს მათ ნება თავის მამულიდან 60 ფუთამდე პურის წამოღებისა. მომარაგების სამინისტროს აზრით ეს დადგენილება ეხება თურმე მხოლოდ თფილისში მცხოვრებთ, და არა სხვა კუთხეების. ამიტომ სხვა ქალაქებში გადასატანი, ან სამსახურში მყოფნი მოკლებულნი არიან თავის პურით სარგებლობას. ამრიგად შეიქმნა პრივილეგია თფილისელ მესაკუთრეების დანარჩენ ადგილების მესაკუთრეებთან.

აქამდეც ეს დადგენილება, როგორც მესაკუთრეთა პრივილეგია — იწვევდა უკმაყოფილებას. ახლა ამას ემატება თფილისელების პრივილეგია დანარჩენ ადგილების მცხოვრებლების წინაშე. ჩვენ გვგონია, რომ ეს არც დემოკრატიზმს შეეფერება, არც ხალხის ინტერესებს, არც სასურსათო ოპერაციებს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობა როცა ადგენს მაზრების შეკვრას, ამით თავის თავზე უნდა იღებდეს იმ სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რომელიც აქვს არა მარტო მუშა მოსამსახურეებს, არამედ დანარჩენ მცხოვრებლებსაც. ჩვენს მომარაგების მინისტრს კი ამ ვალდებულების თავის თავზე აღება არ შეუძლია. აქედან ცხადია, რომ თვით ის წესები, რომელიც მან შეიმუშავა, საჭიროა ერთგვარი კორექტივი, ერთგვარი შესწორება, რომ კერძო პირსაც შეეძლოს თავის გამოკვებაზე ოდნავ მაინც ზრუნვა.

გუშინ „სახ. საქ." იყო აგრეთვე აღნიშნული მეორე უხერხულობა იმავე დადგენილების. კონტროლის გასაადვილებლად მომარაგების სამინისტრო მოითხოვს, რომ თავის პური გორიდან და კახეთიდან უეჭველად რკინის გზით ზიდონ. ეს კი როგორც ირკვევა ბევრ სოფლისათვის სრულიად მიუღებელია.

ცხადია აქაც აჩქარებით და დაუკვირვებლობით შექმნილია ზედმეტი შევიწროება და მიზეზი მცხოვრებთა წინააღმდეგობის გაწევისა, ან შეურიგებლობისაგან ინასკვება საერთო უკმაყოფილებისა.

ჩვენ გვგონია ამ გაუგებრობას უნდა ბოლო მოეღოს. მივაქცევთ აქეთკენ მთავრობის და მომ. სამინისტროს ყურადღებას.

Z.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

15 ოქტომბერი.

## რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

**სამხედრო ცნობები.**

**მოსკოვი.** ოქტ. 14. მინსკის დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. სლუცკის რაიონში ბრძოლა ცვალებადია. ლუნინეცის რაიონში ჩვენ პოგოსტი ავიღეთ. ავიღეთ აგრეთვე სადგ. კოროსტენი, ნოვოგრად - ვოლინის მიმართულებით ჩვენი ნაწილის წინსვლა გრძელდება. სტარო-კონსტანტინოვოზე მოვიგერიეთ მტრის იერიშები. პროსკუროვის მიმართულებით დნესტრის სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით ცვალებადი ბრძოლა გრძელდება. ნიკოპოლის რაიონში მდ. ბუზულუკზე ბრძოლაა. ალექსანდროვსკის რაიონში მტერი შევავიწროვეთ სამხრეთისაკენ და კიჩკასის გადასავალი დავიჭირეთ.

**ახალი გემი.**

სამარაში ჩაუშვეს რუსეთში გაკეთებული პირველი რკინა—ბეტონის გემი.

**რიგა.** 12. ოქტომ. სამშვიდობო დელეგაციის უკანასკნელ სხდომას საზეიმო ხასიათი ჰქონდა. წინასწარ ზავზე ხელის მოწერის წინ ამხ. იოფფემ სიტყვა წარმოსთქვა: საზავო მოლაპარაკებამ გვიჩვენა, რომ თუ ხალხს არა ჰსურს ბრძოლა, არ არსებობს ისეთი სიძნელე, რომლის დაძლევაც არ შეიძლებოდესო.

## გერმანული პრესა

**ბერლინი უარყოფს საფრანგეთის განცხადებას.**

ბერლინი ოფიციალურათ უარყოფს საფრანგეთის განცხადებას და ამტკიცებს, რომ გერმანიაში გადასახადები შედარებით ანტანტისა და ნეიტრალურ სახელმწიფოებთან, გაცილებით მეტია და ამ გადასახადების გადახდა უხდება ნედლ მასალას მოკლებულ და დამშეულ გერმანიასო.

გერმანიის პრესა უარყოფს საფრანგეთის პრესის აზრს, თითქოს გერმანია ზარალის ანაზღაურების საკითხში ინგლისს საფრანგეთის წინააღმდეგ ამხედრებდეს და ამტკიცებს, რომ მათი უთანხმოებაში გერმანიას წილი არ უდევს. გერმანია მხოლოდ თხოულობს, თანახმად სპას კონფერენციის დადგენილებისა, საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას ზარალის ანაზღაურების საკითხზე მოსალაპარაკებლად, რომლის მოწვევასაც ანტანტის ზოგიერთი სახელმწიფოები განგებ გაურბიან.

**დამოუკიდებლები და მოსკოვის ინტერნაციონალი.**

დამოუკიდებელ სოციალისტთა კონფერენციამ ჰალეში 220 ხმით წინააღმდეგ 158 ხმისა გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს მოსკოვის ინტერნაციონალს.

## ლიონის ცნობები

**პოლონეთი და საბჭოთა რუსეთი.**

ფიქრობენ, რომ საბოლოო ზავი რუსეთსა და პოლონეთს შორის ორი კვირის შემდეგ იქნება ხელმოწერილი. ფრანგული პრესის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად ს-დ საპეგას უარი უთქვამს რიგაში გამგზავრებაზე.

**ცეცხლის გაჩენა გერმანიის ახალ გემზე.**

ამას წინეთ გამბურგში ცეცხლი გაჩნდა გემ „ბისმარკზე", რომელიც მოკავშირეებს უნდა გადასცემოდა. ეხლა გერმანიის მეორე გემი „ვიქტორია ლუიზა", რომლის წყალ-წყვაც 17000 ტონს უდრიდა და რომელიც მოკავშირეებს უნდა გადასცემოდა, ცეცხლის მსხვერპლი შეიქნა.

**პლებისციტი კლაგენფურტში.**

საფრანგეთის პრესამ გამოაქვეყნა კარინტიაში მომხდარ პლებისციტის შედეგები: 22,025 ხმა მისცა ავსტრიას და 15,278 ხმა მისცა სამხრეთ-სლავიას.

**საფრანგეთის სიმდიდრე.**

„ფიგაროში" დაბეჭდილია დანიელ ზოლას წერილი, რომელიც ამტკიცებს, რომ საფრანგეთის ეროვნული სიმდიდრე თვით მისი მიწის ნიადაგია, რომელიც უხვ მოსავალს იძლევაო. საფრანგეთის სივრცე უდრის 50 მილიონ ჰექტარს. მისი ღირებულება 100—120 მილიარდს უდრის. სოფლის შენობებიც ღირს არა უმცირეს 10 მილიარდისა. სიმდიდრეთა ღირებულება ამ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში მეტათ გაიზარდა.

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

? ოქტომბერი.

**ყვავილი პეტროგრადში.**

**პეტროგრადი.** „იზვესტია" იუწყება პეტროგრადში ყვავილის ავადმყოფობის გავრცელების შესახებ. მუშებს აიძულებენ აიცრან. სათანადო ზომები უკვე მიიღეს. მუშებს, რომელიც არ აიცრის, უსპობენ ჯამაგირსა და ულუფას.

**შაქრის გატანის აკრძალვა გერმანიაში.**

**ბერლინი.** შაქრის სიძვირის გამო აკრძალა რესპუბლიკამ საზღვრებიდან მისი გატანა.

**კონცესია რუს კაპიტალისტებს.**

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობა დასთანხმდა მისცეს რუს ინჟინერთა და კაპიტალისტთა ჯგუფს ბოსფორსა და სტამბოლს შუა კონცესია მიწის ქვეშ რკინის გზის გასაყვანათ.

**ტყვეების გაცვლა-გამოცვლის გარშემო.**

**ბერლინი.** „ბერლინერ ცაიტუნგი" იუწყება: ერთა ლიგამ გადასწყვიტა და-

# ეკონომიური თათბირი

13 ოქტომბერს თფილ. ქალაქის საბჭოს დარბაზში ამხ. ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ეკონომიური თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: ს. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტი, თფილისის კომიტეტები, დამფ. კრების ს.-დ. ფრაქცია, თფილისის რაიონული კოლექტივები, მცირე კოლექტივები და პროფესიონალურ კავშირების ხელმძღვანელები. პირველი მოხსენება გააკეთა ამხ. ნოე ჟორდანიამ, რომლის გამოსვლას დარბაზი მხურვალე ტაშით შეხვდა.

**ნოე ჟორდანიას მოხსენება.**

ამხანაგებო! დღევანდელი ჩვენი საუბარი ეხება საქართველოს ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობას. აღნიშნულ საკითხს მე შევეხები ზოგადათ, მოგახსენებთ ჩემს საერთო აზრს; ხოლო რაც შეეხება კონკრეტიულ ღონისძიებებს,—ამაზე ილაპარაკებს ამხ. ნ. ხომერიკი.

ამ რამოდენიმე წლის წინად ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურის მხრივ ჩვენ კატასტროფისკენ მივისწრაფით. შემდეგ ეს რამდენჯერმე იქნა განმეორებული; ასე რომ ამ სიტყვებს კიდეც შეეჩვივნენ თითქოს და არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ. მაგრამ დღეს ეს სიტყვები უკვე გამართლებულია. დღეს თვითეული ჩვენგანი გრძნობს, თვითეული მწვავეთ განიცდის ამ სინამდვილეს, რომ ჩვენ არა თუ მივდივართ კატასტროფისაკენ,- ჩვენ უკვე მივედით იქამდე.

და აი დღეს ჩვენ წინ სდგება შემდეგი დილემა: ან უნდა გადავიჩეხოთ უფსკრულში, ე. ი. ჩვენ უნდა გავადიდოთ ხელფასი, მოვსჭრათ ახალი ბონები; ამით საქონელი ბაზარზე კიდევ უფრო გაძვირდება, ცხოვრება ძირევ დაირევა და შესაძლებელია, ყველაფერი ეს დათავდეს სრული სახელმწიფოებრივი კრიზისით. ან და უნდა შევძლოთ ძველი მდგომარეობის აღდგენა, უკან დაბრუნება და მით დაძლეული გვექნება კატასტროფა.

რაში გამოიხატება კრიზისი?

ეს იხატება საქონლის, პირველ სახმარ საგნების საშინელ სიძვირეში. საქონლის გაძვირება იწვევს ხელფასის გადიდებას, რომ მუშა-მოსამსახურეებს შეძლება მიეცეთ იყიდონ საჭირო საგნები. ჩვენ ვუმატებთ ხელფასს, მაგრამ გამოდის, რომ ამას არავითარი რეალური სარგებლობა არ მოაქვს მუშა-მოსამსახურეებისათვის. ხელფასის გადიდება ვერ უსწრებს ფასების ზრდას ბაზარზე და მდგომარეობაც კიდევ უფრო უარესდება. ასეთია დღევანდელი მდგომარეობა.

როგორია მდგომარეობა იყო ომის წინ?

ომის წინ სულ სხვაგვარი მდგომარეობა იყო. საქონელი იაფი იყო, არსებობდა ერთგვარი უცვლელი ფასები. ერთნაირი იყო ჯამაგირებ ც. ომის წინ იყო დამაგრებული ფინანსიური მდგომარეობა. დღეს კი მდგომარეობა სავსებით შებრუნებულია, ძველსა და ახალს შორის სრული კონტრასტია, დღევანდელი სურათი ანტიპოდია იმის, რაც ომამდე იყო.

ამბობენ, რომ ამის მიზეზია ომი.

ეს უეჭველია.

რას ნიშნავს ომი ეკონომიურათ?

პირველათ ეს ნიშნავს იმას, რომ აუარებელი მუშა ხელი, მცხოვრებთა ყველაზე უფრო საღი ნაწილი გადის ბრძოლის ველზე, რომ ეს საღი ნაწილი აკლდება მეურნეობას, წარმოებას. მეორეთ ეს ნიშნავს იმას, რომ ახალ ღირებულების შექმნის მაგივრათ ეს ჯანსაღი ნაწილი მცხოვრებლებისა სპობს, ანადგურებს იმას, რაც უკვე შექმნილი იყო წინათ. მაშასადამე, ეკონომიურათ ომი ნიშნავს საზოგადოების შემოქმედებითი ენერგიის შესუსტებას, შრომის ნაყოფიერების დაცემას.

რას ნიშნავს ომი ფინანსიურათ?

ეს ნიშნავს იმას, რომ ხალხი იძულებული ხდება დაფაროს ზედმეტი არაჩვეულებრივი ხარჯები. სახელმწიფო განიცდის დიდ დეფიციტს და იძულებულია დაფაროს იგი ვალის აღებით, ან სხვა რომელიმე საშუალებით ამრიგათ იხარჯება აუარებელი შრომა სრულიათ უნაყოფოთ, არ ხმარდება სამყოფი სიმდიდრე მცხოვრებთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. ომი ანადგურებს მატერიალურ სიმდიდრეს და ამასთანავე იწვევს საწარმოო ძალთა დანგრევას. ასეთ გავლენას ახდენს საზოგადოთ ხალხის ცხოვრებაზე ყველა ომი, ანუ უეკონომიოთ ცხოვრება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ხანგრძლივია, თუ მასში მრავალი ხალხია ჩაბმული ხანგრძლივათ, როგორც ახლა ხან განვლილი ომი გამოდგა.

აშკარაა, დღევანდელი მოვლენა, მძიმე ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა, არ არის მარტო ჩვენი ქვეყნის მოვლენა; ამას ქვეყნიური თუ არა, მთელი ევროპიული ხასიათი მაინც აქვს.

მაგრამ ერთნაირის სიმწვავით არ განიცდიან ამ საერთო ხასიათის ფაქტორის გავლენას ყველა სახელმწიფოები, რაც აიხსნება თვითეულის საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით.

სახელმწიფოების დავალიანებამ ომის დროს, საერთო ხასიათი მიიღო. საფრანგეთს ვალათ აქვს აღებული ომისათვის 200 მილიარდი ფრანკი; არა ნაკლები ვალი აქვს ინგლისს, გერმანიას და სხვა სახელმწიფოებს.

ამ ჟამათ ეს სახელმწიფოები ეძებენ გზებს, თუ როგორ გამოვიდენ ომის მიერ შექმნილ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობიდან. იმის გასაგებათ, თუ რა გზით ცდილობენ ისინი მდგომარეობის თავის დაღწევას, ჩვენთვის საჭიროა გავითვალისწინოთ ფინანსიური სისტემა, რომელიც შემოღებული ჰქონდათ ამ სახელმწიფოებს ომის წინ.

საერთოდ ფინანსიური სისტემა აგებულია ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე, ხოლო ამ უკანასკნელს განსაზღვრავს კაპიტალისტურ ქვეყანაში საქონლის წარმოება, ე. ი. ის, რომ იქნება სახმარი ნივთები გასაყიდათ.

საქონლის წარმოება თავის საკუთარ კანონებს ემორჩილება. რომ საქონელი გაიყიდოს, საჭიროა გზები, საიდანაც საქონელი გაიტანება, ბაზარი, სადაც შესაძლებელი იქნება საქონლის განაღდება. საქონელს სცვლიან ფულზე იმ მიზნით, რათა ამ ფულით ისევ საქონელი იყიდონ. ამრიგათ საბოლოოთ საქონელი იცვლება ისევ საქონელზე.

ძველათ საქონლის გაცვლა-გამოცვლის პრიმიტიული წესი იყო დამყარებული: სცვლიდენ საქონელს პირდაპირ საქონელზე. როდესაც ეს ტეხნიკურათ მოუხერხებელი გახდა,—შემოიღეს ფული, რაც აადვილებდა ხსენებულ ოპერაციას; პირველათ ფულათ ხმარობ დეა ვერცხლის, შემდეგ ოქროს ვალუტას. ბოლოს ოქროს მაგიერობის გასაწევათ ყოველ დღიურ ურთიერთობაში შემოღებული იქნა ქაღალდის ფული, რასაც, რასაკვირველია, საფუძვლათ ედო იმავე ოქრო-ვერცხლის უზრუნველყოფა.

რაზეა აგებული ეს სისტემა?

მარქსმა დაამტკიცა, რომ საქონლის ღირებულებას ქმნის შრომა. საქონელი იცვლება მეორე საქონელზე იმის მიხედვით, თუ რამდენი შრომაა განსახიერებული თვით ამ საქონელში ერთ საქონელში, რომელიც მეორეზე იცვლება, იმდენი შრომა უნდა იყოს დახარჯული, რამდენიც ამ მეორეშია მაშასადამე, საბოლოოთ იცვლება მხოლოდ შრომის რაოდენობა, რომელიც საქონელშია გამოხატული ეხლა მაინც ყველასათვის აშკარაა ის გარემოება, რომ ბურჟუაზიული ლიბერალები თავის დროზე სტყუოდენ, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ ღირებულობას ქმნის კაპიტალიო. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ აუარებელი ფული ტრიალებს ბაზარზე, მაგრამ ეს საქმეს არას შველის, ფასი არ ეცემა; ის ვერ აადვილებს გაცვლა გამოცვლას, ვერ ქმნის ღირებულებას, ვერ ამსუბუქებს კრიზისს. ცხადია, მხოლოდ შრომა ქმნის ღირებულებას.

აქედან თქვენ ხედავთ, რომ ფასი საქონლის და საქონლის გაცვლა-გამოცვლა მეორე საქონელზე იხატება ფულის სახით. ქაღალდის ფული თავისთავად არავის უნდა, იგი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. მასში მხოლოდ გამოხატული უნდა იყოს საქონლის ღირებულება. ცხადია, სახელმწიფო მძიმე მდგომარეობაში ვარდება მაშინ, როდესაც ეცემა ფულის ღირებულება და მატულობს საქონლის ფასი. ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლათ საჭიროა დაცული იყოს ერთგვარი პროპორცია ქაღალდის ფულსა და საქონელს შორის. თუ ფული მეტია, მაშინ ბაზარზე ხდება არევ-დარევა, იბადება სიძვირე, ფერხდება ეკონომიური ცხოვრება. ასევე შეუფერხებულია ეკონომიური წონასწორობა მაშინაც, როდესაც ბაზარზე ცოტა ფული ტრიალებს.

მაშასადამე, ფინანსიური სისტემის მთავარი საზრუნავი საგანია ამ პროპორციის აღნიშნულ წონასწორობის დაცვა. საშუალო საუკუნის მიწურულში მთავრობები ამ პროპორციას არ დაგიდევდენ და ფულის გაფუჭებით თავის საქმეებს იკეთებდენ ამ გარემოებას შესაფერ ანგარიში გაუწიეს მოწინავე სახელმწიფოებში და მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ მთავრობას უნდა წაერთვას ქაღალდის ფულის გამოცემის უფლება. ეს იმიტომ, რომ მთავრობას ბევრი მოულოდნელი ხარჯები აქვს, რაც განისაზღვრება ხშირათ პოლიტიკურ მომენტით. მთავრობა ხშირად იძულებული ხდება არ გაუწიოს ანგარიში ქვეყნის ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობას და თუ ამავე დროს მას ემისიის უფლება ექნა, შესაძლებელია ეს მდგომარეობა ერთიანად აირევ დაირიოს. ამიტომ ემისიის უფლება წაართვეს მთავრობას და გადასცეს ისეთ დაწესებულებას, რომელსაც ერთგვარი კერძო დაწესებულებების ხასიათი აქვს. ინგლისში ემისიის უფლება გადაცემული აქვს „ინგლისის ბანკს". ასევე იყო საფრანგეთში, გერმანიაში და სხვაგან. ასე არ იყო მხოლოთ რუსეთში, რომლის შესახებაც ცოტა ქვევით ვილაპარაკებ. ამ ბანკების მთავარი აქციონერები კერძო პირებია.

ამრიგათ, თუ მთავრობას ფული დასჭირდება,—უნდა მიმართოს სახელმწიფო ბანკს, ინგლისის ბანკის საქმეა, მაგალითად, მისცემს ფულს ინგლისის მთავრობას, თუ არა. ბანკი უმთავრესათ უყურებს არა პოლიტიკურ მომენტს, არამედ ეკონომიურს; მისი მოსაზრებებს ფინანსიურ ეკონომიური საფუძველი აქვს. ამით შესაძლებელი ხდება ფულსა და საქონელს შორის ამ პროპორციის დაცვა, რომელიც ასე საჭიროა ნორმალურ ცხოვრებისათვის.

აი ასეთი ფინანსიური სისტემა არსებობდა ომამდე იქ დასახელებულ ქვეყნებში. თვითეული ქვეყნის სახელმწიფო ბანკი ცდილობდა არ დარღვეულიყო წონასწორობა საქონელსა და ფულის ტრიალს შორის. ასეთ დროს მოხდა ომი, რომელმაც, რასაკვირველია, გამოიწვია არაჩვეულებრივი ხარჯები. რა უნდა ექნათ აქ მთავრობებს? რა უნდა ექნა, მაგ., ინგლისის მთავრობას?

ბანკი ვერ მისცემდა მას საჭირო ფულს. მაშასადამე მას უნდა მიემართა სესხისთვის, ე. ი. ხარჯების მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია იმ ფულით, რომელიც უკვე ბაზარზე იყო დაბანდებული. ეს იყო ერთად ერთი სწორი გზა, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა იყო ხარჯების დაფარვაც და ფინანსიური წონასწორობის შენარჩუნებაც. მთავრობა ასე მოიქცა. ასევე მოიქცენ სხვა მთავრობებიც (მომხსენებელს მოჰყავს 1916 წ. გაზ: „აზრში" მოთავსებულ მისი წერილებიდან ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი სესხი იქნა აღებული სხვადასხვა მთავრობების მიერ). რომ მათ თავისი სომარი ხარჯები დაეფარათ არა სესხით, ე. ი. უკვე ხალხში დაბანდებული ფულის მთავრობის ხელში მოგროვებით, არამედ ახალი ფულის ბეჭდვით, მაშინ დაირღვეოდა წონასწორობა ფულსა და საქონლის რაოდენობას შორის, ფული გაიაფდებოდა საქონელი გაძვირდებოდა და დაიწყებოდა ფინანსიური კრიზისი.

რამოდენიმეთ განსაკუთრებული ხელსაყრელი მდგომარეობა დაიჭირა ომის დროს ინგლისმა. ინგლისის სამხედრო მინისტრმა კიტჩენერმა თავიდანვე განაცხადა, რომ ომი სამი წელი გაგრძელდებაო. ის შეცდა, რასაკვირველია, ომი გაცილებით გაგრძელდა; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ინგლისს ომი წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ხანგრძლივი მოვლენა და იქ ამის შესაფერადაც იქნა გადადგმული ნაბიჯები, მან ჯერ მიმართა სესხს, რის შემდეგაც დააწესა ახეთი გადასახადები, რომლის შესახებაც ომის მთავარი გასავალი ბიუჯეტის წესით იფარებოდა.

ეს ერთათ ერთ ინგლისმა შესძლო, რის გამო დღეს სტერლინგები აქ მოგროვილ არის.

საფრანგეთში ომის დაწყებისას აუარებელი რუსული ობლიგაციები ტრიალებდა. ომმა საშინელი პანიკა გამოიწვია, რასაც მოჰყვა თამასუქების ფასის დაცემა, მისი დევალვაცია. მთავრობას არ აძლევდენ სესხს; მაშინ მან მიმართა სესხისთვის სახელმწიფო ბანკს, რომელსაც მთავრობამ შესთავაზა თავისი თამასუქები—7 მილიარდისა და 300 მილ. მან. ღირებული რა უნდა ექნა ბანკს?

მან გამოუშვა ახალი ქაღალდის ფული. ეს, რასაკვირველია, დასცემდა ფულის ფასს ბაზარზე. მაგრამ საფრანგეთის ხალხმა აქ გამოიჩინა არაჩვეულებრივი დისციპლინობა: ხალხმა მიიღო ეს ქაღალდის ფული და სამაგიეროთ ოქრო შეიტანა ბანკში. ამით, რასაკვირველია, ხელახლა შეიქნა რეალური ღირებულება ფულისა და ბაზარზედაც ამ ოპერაციას დიდი არევ დარევა არ გამოუწვევია.

გერმანიაც თავიდანვე სესხის გზას დაადგა.

ამრიგათ, მოწინავე ქვეყნები თავიდანვე დაადგენ სესხის გზას, ე. ი. იმ გზას, რომელიც ყველაზე ნაკლებ არყევს ქვეყნის ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობას. ფულისა და საქონლის ტრიალის სფეროში ამ გზით დაცული იქნებოდა ხსენებული პროპორცია.

ბოლოს და ბოლოს, როდესაც ომმა ხანგრძლივი ხასიათი მიიღო, მთავრობები, განსაკუთრებით დამარცხებულ ქვეყნების მთავრობები, რასაკვირველია, იძულებული შეიქნენ ქაღალდის ფული გამოეშვათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამათ არ აძლევდენ სესხს.

ეხლა გადავხედოთ რუსეთს. აქაც ფულის გამოცემის, ემისიის უფლება სახელმწიფო ბანკს ჰქონდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს ბანკი ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური დაწესებულება იყო. იგი ყველაფერში მთავრობის განკარგულე-

*) იხ. №№ 161, 174, 197, 198.

აჭარის საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკება რუსეთში მყოფ ტყვეების გამოსავლელ ნებართვის მიცემის შესახებ. ნანსენმა ერთა ლიგას აუწყა: რუსეთის ბანაკი, სადაც ტყვეები სცხოვრობენ, საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან. თურქესტანში 200 000 ტყვეებიდან დარჩა მხოლოდ 70.000, დანარჩენები დაიხოცნენ, ან უგზო-უკვლოთ დაიკარგნენ. ციმბირში 200.000 ტყვე იმყოფება.

**გერმანია და რუსეთი.**

ვენა. „ნეიე ფრეიე პრესე" იუწყება: გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიღო შემდეგი განცხადება: ანტანტის სახელმწიფოებს გერმანიისა და რუსეთის დამოკიდებულების შესახებ აქვთ თავისი საკუთარი შეხედულება, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გერმანია და რუსეთი ეკონომიურათ მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი და ამ ორ სახელმწიფოს კავშირი აუცილებელია. ამას გარდა სიმონსმა განაცხადა: აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ავსტრიასა და გერმანიაში მყოფ გერმანელ ტომების ფედერატიულად გაერთიანება.

**სასჯელის მისჯა.**

მოსკოვი. „იზვესტია" აქვეყნებს კოოპერატორების შესახებ რევოლუციონურ ტრიბუნალის მიერ გამოტანილ დადგენილებას; კოოპერატორებს: მოროდუხოვსკისა, დრიუბინსა, როზენსა, კოროვოვსა, ლავრუხინსა და იუზენცოვს მიუსაჯეს კონცენტრაციულ ბარაკებში 15 წლით ჯდომა. ნიკიტინს, რომელსაც დენიკინისათვის აქტიური დახმარება ბრალდებოდა, მიუსაჯეს დახვრეტა. მონანიების გამო ნიკიტინს ეს სასჯელი ბარაკში 15 წლის ჯდომით შეუცვალეს. ასეთივე სასჯელი მიუსაჯეს დანარჩენ კოოპერატორებს.

## კ. კაუცკის დაბადების დღეს

ძვირფასო მასწავლებელო!

საქართველოს მშრომელი ხალხის სახელით გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს. ღრმათ გვწამს, რომ თქვენი თეორეტიული ხელმძღვანელობით საერთაშორისო მუშათა მოძრაობა დაძლევს თანამედროვე პირობებისგან შექმნილ დაბრკოლებებს და საბოლოო გამარჯვების იმედით აღფრთოვანებული განაგრძობს თავის ბრძოლას სოციალიზმის დასამყარებლათ.

საქ. პროფ. კავშირების ცენტრალ. საბჭოს აღმასრულ. კომიტეტი.

## ოსმალეთის სომხეთზე შეტევის გარშემო

**სამხედრო ცნობა.**

ოქტომ. 14 მერდენეტის მიმართულება: აიბატის-და კონეპდაგის სიმაღლეებთან ბრძოლა სწარმოებს გაძლიერებულ მტერთან.

ყარსის მიმართულება: სულუმ-კაის რაიონში ბრძოლები ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს. ხალ-ხულიმას დაკავების შემდეგ ჩვენი ნაწილები ურკუჩმაზისა და ბეიუკ-კეის მიმართულებით წინ იწევენ. ჩვენ იერიშით ავიღეთ სოფ. შერნა. ჩვენი ჰაეროპლანები მტრის „აზობ"-ს ყუმბარებს ესროდენ. მტრის ბანაკში საშინელი პანიკაა.

## ახალი ამბები

**დამფუძნებელ კრებაში.** დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის სახელზე ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: ქუთაისში მცხოვრებ სომხების დიდი მიტინგი, აღშფოთებული ოსმალეთის შემოსევით, სასტიკ პროტესტს აცხადებს ასეთ ვერაგობის გამო და მოითხოვს ომის სასწრაფოთ შეწყვეტას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს დემოკრატია და მისი მთავრობა, სომხეთზე ძალადობის მოხდენის წინააღმდეგ, თავის ხმას აღიმაღლებენ.

— დამფუძნებელი კრების წევრმა გ. გვაზავამ (ერ. დემოკრ. წევრმა) დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს განცხადება წარუდგინა სამი წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ. წარმომადგენლები უნდა დაესწრონ ხალხთა ლიგის მიერ ნოემბრის 12-სათვის მოწვეულ კრებას. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა, განიხილა რა ეს საკითხი ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებულ სხდომაზე, დაადგინა შეიტანოს იგი დამფუძნებელ კრებაში პირველ სხდომაზე და გადასცეს განსახილველათ იურიდიულ კომისიას. გადაწყდა აგრეთვე დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ მთავრობას.

— დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმში შეტანილია წინადადება დამფ. კრების 4 წევრის საერთაშორისო შრომის ბიუროში დანიშვნის შესახებ.

— დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა ფრაქციათა წარმომადგენლებთან ერთად დაადგინა: მისცეს წინადადება დამფ. კრებას ოქტ. 15 სხდომაზე, დამფ. კრების მუშაობის გადადების შესახებ ნოემბრის 1-მდე. მუშაობის გადადების მიზეზი შენობის შეკეთებაა.

◆ **სახელმწიფო ბანკი.** სახელმწიფო ბანკმა ბათომიდან მიიღო დეპეშა, რომ იქ ბანკის განყოფილება ოქტომბრის 18 გაიხსნება.

◆ **პროფ. დებრიუკერის გამგზავრება.** ევროპის სოციალისტ. დელეგაციის წევრი პროფ. დებრიუკერი თფილისიდან ბათომს გაემგზავრა საფრანგეთში წასასვლელად. სადგურზე გასაცილებლად მოვიდნენ კარლ კაუცკი, ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, დამფ. კრების წევრი თევზაია, სახალხო გვარ. შტაბის უფროსი—ვ. ჯუღელი, ბ. ჩხიკვიშვილი და სხვა.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროში.** თფილისში მყოფმა ელინთა მისიის წარმომადგენელმა და ხმელთა შუა ზღვის კომერციულ ბანკის წარმომადგენელმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა სოხუმში არსებულ ბინიატ-ოღლის უძრავ ქონების მუშათა მაგიდასათვის გადაცემის შეჩერების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ შუამდგომლობის საპასუხოდ აცნობა, რომ 1919 წლის ივლისის 11-ის კანონი უძრავ ქონების ჩამორთმევის შესახებ, არ არჩევს უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომებიდან. ამიტომ გადაწყვეტილება ბინიატ-ოღლის უძრავ ქონების ჩამორთმევის შესახებ არ შეიძლება შეცვლილი იქნესო.

◆ **შრომის სამინისტროში.** შრომის სამინისტრომ ყველა სამაზრო ერობას და ქალაქის გამგეობას შემდეგი მიმართვა გაუგზავნა: შრომის სამინისტრო გთხოვთ, რაც შეიძლება მოკლე ხანში წარმოგვიდგინოთ ანგარიშები თქვენთან არსებულ სოციალურ დახმარების განყოფილებისა. საჭიროა ცნობები, რამდენი თხოვნა იყო შემოტანილი, რამდენი გადმოეგზავნა სამინისტროს, რიცხვი კომისიაში გახსნილ მოთხოვნილებისა და აგრეთვე ის სახარჯო (თვიურად) რომელიც თქვენ მოგივიდათ ამ საქმის მართვა-გამგეობაში.

◆ **მსახიობ ა. ი. ინაშვილის კონცერტი.** დღეს, 16 ოქტომბერს, ქართულ კლუბის საზამთრო დარბაზში გაიმართება მსახიობ ა. ინაშვილის დიდი კონცერტი საუკეთესო ძალების მონაწილეობით. ა. ი. ინაშვილი ფრიად ნიჭიერი საოპერო მსახიობია; მან შექმნა მურმანისა და სხვა ტიპები საოპერო ხელოვნებაში დღეს იგი ავათმყოფია და ამასთანავე მოკლებული ყოველგვარ მატერიალურ სახსარს. იმედია, საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდება ამ ნაბიჯს და თავისი წვლილის გაღებით შეაძლებინებს მსახიობს კვლავ ენერგიულათ ემსახუროს ხელოვნების საქმეს.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

კვირას, 17 ოქტომბერს, დილის 10 საათ. დანიშნულია ვაჟთა მეორე გიმნაზიის მშობელთა წლიური კრება.

— კვირას, 17 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, შესდგება ერთობის უბნის სახალხო გვარდიის საზოგადო კრება. დღიური წესრიგი: 1) დელეგატის არჩევა სახალხო გვარდიის ყრილობაზე, 2) ბათალიონის სასამართლოს კანდიდატების არჩევნები. დასწრება ყველა გვარდიელთათვის სავალდებულოა.

## იუსტიციის სამინისტროში

**სასამართლოს მდგომარეობა.**

იუსტიციის მინისტრმა დაამუშავა და წარუდგინა მთავრობას განსახილველად მოხსენება სასამართლოს მდგომარეობის შესახებ. თავის მოხსენებაში მინისტრი უკანასკნელ ხანებში სასამართლოს მოქმედების გაძლიერებას აღნიშნავს. 1918—1919 წლ. ძველი საქმეები სისრულეში არის მოყვანილი. შენიშნულია საგამომძიებლო რაიონებიდან სხვადასხვა საქმეების შემოსვლა, რამაც გამოიწვია თფილისში ოქტ. 9-დან ორ ერთდროულად მომქმედ სისხლის სამართლის სასამართლოს სესიის დანიშვნა. მოხსენებაში აღნიშნულია სასამართლოს არა ნორმალური მდგომარეობა რესპუბლიკაში. უმთავრეს მიზეზად ამ არა ნორმალობისა იუსტიციის მინისტრს მიაჩნია: პირველი—სასამართლოს ულონობა, დააკმაყოფილოს ყოველი მოთხოვნილება საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც ძლიერ ჩქარი ტემპით მიექანება წინ. ხშირია შემთხვევები, როცა ადმინისტრატიული დაწესებულებები ერევიან სასამართლოს საქმეებში და მით სცემენ ძირს სასამართლოს ავტორიტეტს და ხელს უშლიან კანონიერების განმტკიცებას. სასამართლოს არა ნორმალურ მდგომარეობის მეორე მიზეზი, მომხსენებლის აზრით, არის ძველი კანონების დაუმუშავებლობა და მოუმზადებლობა პირად შემადგენლობისა, რომელთა რთული მოვალეობანი სასამართლო მოღვაწეებიდან დიდ თეორეტიულ მომზადებას და გამოცდილებას მოითხოვს. იუსტიციის მინისტრი ეხება აგრეთვე სასამართლოს მოღვაწეთა ნივთიერ ხელმოკლეობას: სასამართლო მოღვაწეებს ამასთანავე არ შეუძლიათ სხვა რამე სამსახურში შესვლა, რომ ამით გაადიდონ საცხოვრებელი შრომის ხელფასი. შემდეგ მოხსენებაში მოყვანილია ის ზომები, რომელიც მიიღო უკვე იუსტიციის სამინისტრომ სასამართლოს დემოკრატიზაციისათვის და მის ხალხთან დასაახლოვებლად. მთელ რესპუბლიკაში შემოღებულია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, შემოღებულია ინსტიტუტი მომრიგებელ მოსამართლეთა, გაუმჯობესებულია საგამომძიებლო, საპროკურორო აპარატები და დაარსებულია ძველ კანონთა გადამსინჯავი კომისია. აღნიშნავს რა ადმინისტრაციის სრულ მოუმზადებლობას სისხლის სამართლის საქმეების გამოკვლევაში, იუსტიციის მინისტრი წინადადებას იძლევა ამ დეფექტის მოსასპობად მისცენ მილიციის მოხელეთ სათანადო ინსტრუქციები. მოხსენებაში აღნიშნულია აგრეთვე ერობათა და ქალაქთა თვითმართველობების ჩარევა სასამართლოს საქმეებში. ეს დაწესებულებები ძლიერ ხშირად იცავენ თავის მოსამსახურეთა აშკარა უკანონო საქციელს, ამიტომ ამ საქმეების აღნიშნულ ორგანოების გავლენისაგან განსათავისუფლებლათ საჭირო ხდება მათი (საქმეების) სასამართლოს გამომძიებლებზე გადაცემა, რომელთა რიცხვიც ისედაც მცირეა და რომლებსაც ისედაც ბევრი სამუშაო აქვთ. მთელ მოხსენებაში გატარებულია ის აზრი, რომ რესპუბლიკის სასამართლო უნდა იდგეს ყოველგვარ პარტიულ და ჯგუფობრივ ბრძოლის გარეშე და რომ სასამართლო ასეთ მდგომარეობამდე ამაღლდეს,—საჭიროა მის საქმეებში მთავრობის ჩარევა. მოხსენების ბოლოს იუსტიციის მინისტრს საჭიროდ მიაჩნია შემდეგ ღონის ძიებათა მიღება: 1) წინადადება მიეცეს განათლების სამინისტროს, რომ იურიდიულ ფაკულტეტის გახსნა დააჩქაროს; 2) საპროკურორო ზედამხედველობის მოსამსახურეთა და სასამართლოს მოღვაწეთა, როგორც საჭირო სპეციალისტების, ნივთიერად უზრუნველყოფა; 3) სამხედრო და საგანგებო სასამართლოების გაუქმება; 4) შემოღება მთელს რესპუბლიკაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისა; 5) უდიდეს საქმეების გამომძიებელთა რიცხვის გადიდება; 6) სამსახურიდან დათხოვნა ადმინისტრაციის იმ მოსამსახურეებისა, რომლებიც თავის დროზე არ შეასრულებენ სასამართლოს დავალებას. (სთს).

## სადგულ-მამულო რეფორმა ლეჩხუმის მაზრაში

ლეჩხუმის სამაზრო ერობის აგრარული განყოფილების ცნობით საადგილ-მამულო რეფორმა მაზრაში შემდეგ მდგომარეობაშია: 1) მთელს ლეჩხუმის მაზრაში მიღებულია სახნავი მიწა 2395 დესეტინა. 1037 კვ. საჟ. 2) სამოსახლო 14 დესეტინა 34 კვ. საჟ. 3) ვენახი 13 დესეტ. 2300 კვ. საჟ. 4) სათიბი 10 დეს. 5) საძოვარი 24700 დესეტინა 1047 კვ. საჟ. 6) ტყე 59514 დესეტინა 589 კვ. საჟ. 7) ბუჩქნარი 58 დ. 1788 კვ. საჟ. 8) უვარგისი 8706 დ. 1816 კვ. საჟ., სულ 95453 დ. 1717 კვ. საჟ.

ამ საერთო ჯამიდან უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთ აქვთ დანაწილებული სახნავი მიწა სულ 676 1140 კვ. საჟ. შემდეგ რაიონებში:

1. ცაგერის რაიონში 49 დესეტინა 950 კვ. საჟ.
2. დეხვირ-ღვირიშ-ნაკურალეშის რაიონში 37 დ. 464 კ. ს.
3. ზუბ ოყურეშის რაიონში 25 და 500 კ. ს.
4. ქვემო ალპანის რაიონში 163 დ. 1943 კ. ს.
5. ორბელ ლაილაშის რაიონში 378 დ. 1863 კ. ს.
6. მექვენის რაიონში 22 დ. 220 კ. ს.

სულ დარიგებულია 676 დ. 1140 კვ. საჟ.

დანაწილებული მიწების საფასური სრულიად შეტანილია ხაზინაში, რომლის რეალიზაციის ანგარიშები ყოველ თვიურათ იგზავნების სამინისტროს საადგილო განყოფილებაში. დაუნაწილებლათ დარჩენილია სახნავი მიწა 1718 დ. 2297 კ. ს. და აგრეთვე ყველა სამოსახლო ადგილები, ვენახები, სათიბები, ტყეები და სხვა.

მიწების განაწილება ამ ჟამათ სწარმოებს ორ რაიონში, ორ რაიონში კი გრძელდება მემამულეებზე მიწების ჩამორთმევა, ვინაიდან ხელახლად აღმოჩნდა ჩამოსართმევი მიწები. მიწის მზომელი ოთხის მეტი არა გვყავს, რის გამო დანარჩენ რაიონებში მუშაობა შეჩერებულია.

## ამხ. ალექსანდრე წეროძე

14 ოქტომბერს საშინელ ტანჯვა-წვალებაში განუტევა სული ამხ. ალექსანდრე წეროძემ. ვისაც კი რაიმე დამოკიდებულება ქონია მასთან, იმისთვის ნათელი წარმოსადგენია თუ რა დანაკლისია ჩვენი საზოგადოებისათვის ასეთი უწიკვლო და პატიოსანი პარტიული და პროფესიონალური მუშის დაკარგვა. ძველი რეაქციის დროიდან ის ჩაბმული იყო პარტიულ მუშაობაში, და როგორც ერთი პროვინციელი პარტიული მუშა, ერთი წუთითაც არ უღალატნია თავის იდეისათვის. სამებაში (გურიაში) და მახლობელ სოფლებში არც ერთი კულტურული საქმე არ გაკეთდებოდა, რომ იქ წევრათ არ ყოფილიყო განსვენებული. ბოლო ხანს რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა ის აირჩია „ეკონომიის" გამგეთ. აქაც დაუღალავი ენერგიით მუშაობდა და კარგს იმედებსაც იძლეოდა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა არ დააცალა და გამოგვტაცა ხელიდან ჯერ ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე მუშაკი. განისვენე პატიოსანო ადამიანო. საუკუნოთ დაუვიწყარი იქნება შენი სპეტაკი სახელი შენი ამხანაგების და მეგობრების გულში.

**გ. ოდიშარია.**

## საუბარი საგანგებო კომისართან ბათომისა და მისი ოლქისა გ. ჩხიკვიშვილთან

ჩვენმა თანამშრომელმა ისაუბრა ბათომის ოლქის მდგომარეობის შესახებ ბათომიდან ჩამოსულ ამხანაგ ჩხიკვიშვილთან, რომელმაც გადმოგვცა შემდეგი:

ის ჩოჩქოლი, რომელიც თფილისის ზოგიერთ გაზეთებშია „ახალი სხივის" მეთაურობით ატეხილი, საფუძვლიანი სრულიადაც არაა. და ამავე დროს მეტად უტაქტიკო და მავნებელია.

მე მესმის ეროვნულ დემოკრატების უკმაყოფილება, თუ რატომ ბეგებს „არ ჩავაბარეთ" ოლქში ბეგობა და ბატონობა მართვა გამგეობის სახითო, მაგრამ გაუგებარია უკმაყოფილება იმ გაზეთისა, რომელიც დემოკრატობას იჩემებს. მართალია, ზოგიერთ მის თანამშრომლებს აქვთ „საბუთი" პირადათ ჩემით უკმაყოფილო იყვნენ, მაგრამ აქ რა შუაშია საზოგადო საქმე, რომელსაც ყველა უნდა ვემსახუროთ, [illegible]გორ შეგვიძლია და როგორც ჩვენი პოლიტიკური სინდისიერება გვიკარნახებს.

ამ სიმაღლეზე „სხივლები" ვერ არიან და ეს ჩვენთვის დიდათ სამწუხაროა, რადგანაც ჯერ კიდევ იმათ პარტიის კაცებათ მოაქვთ თავი.

ოლქის გადმოსვლის დღიდან სამი მთავარი მიზანი გვქონდა ჩვენ დასახული და აქეთკენ იყო მიმართული ჩემი მუშაობაც. პირველი საქმე იყო ადმინისტრაციის მოწყობა, მეორე ყველა სხვა უწყებების ადგილობრივ დაწესებულებათა დაარსება და იმათი, წარმატებით მუშაობისათვის, შესაფერ პირობებში ჩაყენება და მესამე—ოლქისა და ქალაქის მავნე პირებისაგან—რესპუბლიკის მტრებისაგან განთავისუფლება.

ჩემთვის უდავოა, რომ ბათომის ოლქს უნდა ჰქონდეს ადგილობრივი მმართველობისათვის თავისი საოლქო ორგანო, ამ ორგანოს (თუგინდა „მეჯლისი" დავარქვათ მას) წევრები უნდა იყოს დემოკრატიული წესით არჩეულნი—და მთელი ოლქის (ბათომიც შიგ უნდა შედიოდეს) ნდობით აღჭურვილნი. ამ გვარი ავტონომია არ იქნება ისეთი ერთეული, რომელიც თავის ვინაობას არკვევს და სწყვეტს, რადგანაც ეს უკვე გამორკვეული და გადაწყვეტილია, არამედ მას ექნება სახელმწიფოებრივი ადგილობრივი მმართველი ორგანოს ხასიათი, თანახმათ რესპუბლიკის საერთო კანონებისა ერთ—მთლიან საქართველოში.

სამწუხარო და სავალალო ისაა, რომ ადგილობრივ მუსულმანთა მომქმედი ელემენტების კაი დიდ ნაწილს ეს ასე არ ესმის და არც უნდა ირწმუნოს. აი ხელში მაქვს წერილი მეჯლისის ერთ-ერთი წევრისა და „მოღვაწის" მიერ მიწერილი 26 ივლისის ცნობილი ქესკინ ზადესადმი, რომელიც ამ უკანასკნელს აღმოაჩნდა ჩხრეკის დროს.

„საქართველოს მთავრობას,—სწერს „მოღვაწე" (ცოტად დაცულია წერილის მართლწერა) ავტონომიის მიცემა არ უნდა; ვინაიდან ერთი გაყოლა პირდაპირ შეერთების პარტია გამოვიდა. ერთი დღით წინ ამ რიცხვისა თფილისში დელეგაცია გავაგზავნეთ, რომ მთავრობა მოცემულ ავტონომია ამტკიცებს თუ არ უნდა დაამტკიცოს. თუ დაამტკიცეს ავტონომიას და ჩვენ განვაცხადებთ, მაშინ ჩვენ ყოლისფერს **როგორც ჩვენ გვინდა, ისთე გაკეთებაზე ვიმედოვნებთ.** თუ არ დაამტკიცეს იმ შემთხვევაში ჩვენც საქართველოს მთავრობიდან კმაყოფილი არ დავრჩებით და შეიძლება ჩვენც თქვენსავით გარეთ ვიქნებით. ერთ კვირაში საქმის ვითარებას ან როგორი მიმდინარეობას მიიღებს გაცნობებთ და იმის შემდეგ საჭირო იქნება ჩვენი შეერთება. მთელს თქვენ ამხანაგებს დიდი პატივისცემით მოვიკითხავ. თქვენც ხელის მოწერით მოგვიკითხავთ. თქვენი (სახელი და გვარი მოწერილია)...

მეორე „მოღვაწე" კიდევ მეჯლისის წევრი გაფაციცებით იარაღებს დაეძებს სათათრეთისათვის, ათასობით თათრულ ლირებს აფრიალებს და მოლაპარაკების დროს (აგენტების საშუალებით ჩვენი ჯარის საწყობებიდან უნდოდათ ამ იარაღების შეძენა). თავის თავს ოსმალოს აგენტებს უწოდებს.

მესამე წერილი ტრაპიზონიდან ცნობილი რეშიდ-ალისა ახალციხეში ერთი

---

ბებს ემორჩილებოდა და შეიძლება იგი იმავე მთავრობის დაწესებულებათ ჩავთვალოთ. ამიტომ, მთავრობის პირველ მოთხოვნილებისთანავე, მან გამოუშვა ახალი ქაღალდის ფულები. არსებითად რუსეთის მთავრობას ომის დროს სხვა გზა არ გაჩნდა; იგი ვერსად ვერ იშოვიდა სესხს, რომ ამით დაეკმაყოფილებია ომის მოთხოვნილებები.

რუსეთმა უწინ კიდევ ორჯერ მიმართა ასეთ საშუალებას: ყირიმის და რუსეთ ოსმალეთის ომის დროს. მაშინ გამოცემული იყო ეგრ. წ. ასიგნაციები. მაგრამ ასიგნაციების გამოშვებას მაშინ ასეთი დამღუპველი შედეგები არ ჰქონებია, ვინაიდან ომს დიდხანს არ აწარმოებდა. ქაღალდის ფულის კურსი დაბალი ჰქონდა, ვინემ ვერცხლის ფულს. ამიტომ იმ დროს არჩევდენ ქაღალდის მანეთს ვერცხლის მანეთიდან.

იაპონიასთან ომის დროს რუსეთმა მოახერხა სესხის აღება საფრანგეთში და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მაშინ რუსეთმა თავი დააღწია ფინანსიურ-ეკონომიურ არევ-დარევას. დღევანდელ ომის დროს რუსეთი, ცხადია, სესხს ვერსად ვერ იშოვიდა, ვინაიდან ყველა დიდი სახელმწიფოები ჩაბმული იყვნენ ომში და თვით საჭიროებდენ სესხს, და ამიტომ მან გამოსცა ახალი ფულები. (მომხსენებელს მოჰყავს ზემოთ დასახელებულ წერილებიდან შესაფერი ციფრები).

მაშასადამე, დეფიციტის დასაფარავათ არსებობს ორი საშუალება: ერთი საშუალებაა სესხი, ასე ვთქვათ ევროპიული სისტემა, მეორეა ფულის ბეჭვდა—რუსული სისტემა. ევროპამ მიმართა პირველ საშუალებას უმთავრესათ, რუსეთმა კი მეორეს უმთავრესათ.

ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ ფულის კურსი ჩვენში და ევროპაში ერთმანეთს არა ჰგავს. დღეს ყველაზე მაღლა ინგლისურ გირვანქების კურსია. გირვანქა სტერლინგი ომამდე ღირდა დაახლოვებით 27 ფრანკს; ეხლა ფასობს 47—50 ფრანკს, ესე იგი საფრანგეთის ფულის კურსი სტერლინგებთან შედარებით დაეცა 90—100%-ით. სულ სხვაა რუსეთში და ჩვენში. აქ კურსი დაეცა ათასი და ათი-ათასი პროცენტით.

ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ არსებობს ორი სისტემა: ერთი ამაგრებს კურსს და ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას, მეორე კი ანგრევს.

ამ ჟამად ევროპაში ცდილობენ აღადგინონ მდგომარეობა, გააუმჯობესონ კურსი. რა საშუალებებს მიმართავენ ისინი ამ მიზნით?

ბელგია როდესაც თავის ქვეყანაში დაბრუნდა, მას იქ დახვდა 4½ მილიარდი გერმანული მარკა. ბელგიამ გამოსცა 7 მილიარდი ფრანკი ფული იმ მიზნით, რათა გამოეცვალა გერმანული მარკები. მაშასადამე დღეს იქ ტრიალებს 7 მილიარდი ფრანკი. ბელგია ცდილობს წარმოების განვითარების საშუალებით ფრანკების რაოდენობა ნორმალურ პირობების რაოდენობამდე დაიყვანოს, ე. ი. შეამციროს 2 მილიარდამდე. ასევე ცდილობენ ევროპის სხვა სახელმწიფოებიც ნორმალური მდგომარეობის აღდგენას.

ახლა შევეხოთ საქართველოს მდგომარეობას.

ჩვენ იმით დავიწყეთ სახელმწიფოს შენება, რომ ჩვენს კასაში არაფერი არ იყო, გვქონდა მხოლოდ რამოდენიმე მილიონი მანეთი. მაგრამ ჩვენ არ გვქონდა ვალი. გვქონდა ის საქონელი, რომელიც ჩვენ დაგვრჩა რუსეთიდან გამოყოფის შემდეგ. მაშასადამე, პლიუსი იყო ჩვენთვის ის, რომ ვალი არ გვქონდა, მაგრამ დიდი მინუსი იყო ის, რომ ახალი სახელმწიფო ვიყავით, არ გვქონდა სახელმწიფო აპარატი, საკუთარი ტრადიციული სისტემა, არავითარი ფონდი.

ჩვენ მოგვიხდა ომის წარმოება, გაგვიჩნდა აუარებელი ხარჯები. ჩვენ ვცდილობდით, რომ ხარჯების დაფარვა უკეთესი იყო სესხით, მაგრამ ჩვენ ვერც უცხოეთში, ვერც ჩვენში სესხს ვერ ავიღებდით. მაშასადამე, იძულებული შევიქენით დავმდგარიყავით ემისიის გზაზე, გამოგვეშვა ფული, მიგვემართა რუსულ სისტემისათვის. ამით ჩვენ უარეს მდგომარეობაში ჩავვარდით, ვინემ საბჭოთა რუსეთი. უკანასკნელი მოწყვეტილია უცხოეთს, იგი გარშემორტყმულია ბლოკადით; ჩვენ კი ამ მხრივ თავისუფალი ვართ. შემდეგ კი, როდესაც რუსეთს დამოკიდებულება ექნება უცხოეთთან,—იგი უფრო ადვილად შესძლებს კურსის წონასწორობის აღდგენას, ვინაიდან მას ამისთვის აუარებელი ოქრო-ვერცხლი მოეპოვება. მთავრობამ იქ კერძო პირთ ჩამოართვა ეს სიმდიდრე.

ამრიგად, ჩვენ შევდექით ემისიის გზაზე. ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ჩვენი ფულის კურსი დიდათ დაეცა. მაგ. სტერლინგი 1918 წ. შემოდგომაზე ღირდა 40 მ. დღეს კი ის ღირს 4—5 ათასი მანეთი.

ასეთი ფატალური გავლენა არ ექნებოდა ემისიას, რომ ჩვენი წარმოება მაინც არ დაცემულიყო. სამწუხაროთ, ამ მხრივ მეტათ უნუგეშო მდგომარეობაა: შრომის ნაყოფიერება თითქმის სისტემატიურათ ეცემა და არავითარი წინსვლა არ ეტყობა. აი ზოგიერთი ცნობები ამის საილუსტრაციოთ:

მთავარ სახელოსნოების „კოტელნი ცეხში" 14 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების სურათს მივიღებთ:

| | | |
|---|---|---|
| 14 წელში | — | 100% |
| 16 „ | — | 82 „ |
| 20 „ | — | 41 „ |

„კუზნეჩნი ცეხში":

| | | |
|---|---|---|
| 14 წელში | — | 100% |
| 16 „ | — | 131 „ |
| 17 „ | — | 94 „ |
| 20 „ | — | 42 „ |

„ვაგონის ცეხში":

| | | |
|---|---|---|
| 14 წელში | — | 100% |
| 16 „ | — | 181 „ |
| 17 „ | — | 91 „ |
| 20 „ | — | 41 „ |

„სბორნი ცეხში":

| | | |
|---|---|---|
| 14 წელში | — | 100% |
| 20 „ | — | 86 „ |

როგორც ხედავთ, შრომის ნაყოფიერება საგრძნობლათ დაცემულია. ერთად ერთი დარგი წარმოებისა, სადაც ნაყოფიერება არ შემცირებულა, პირიქით, უმატნია კიდეც, არის ტყიბულის ქვანახშირის წარმოება. აი ციფრი:

| | | |
|---|---|---|
| 18 წელს | | 100% |
| 19 „ | — | 123 „ |
| 20 „ | — | 194 „ |

ე. ი. შრომის ნაყოფიერებას უმატნია 94%—ით.

თავის თავათ ცხადია, რომ ასეთ პირობებში ზემოთ დასახელებულ პროპორციის დაცვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ფულის ღირებულება დაეცა, საქონელი ბაზარზე საზღაპროთ გაძვირდა, წელს ბევრი მოვიდა ჩვენში პური, კარგი პირი უჩანს სიმინდის მოსავალსაც, მაგრამ ეს მაინც ვერ მოახდენს შესამჩნევ გავლენას ბაზრის წონასწორობის აღდგენაზე; პური ასევ ძვირი იქნება, ვინაიდან სოფლელებისთვის საჭირო საქონელი—მანუფაქტურა და სხვა, უცხოეთიდან მოგვაქვს და აქ კი მთელი თავის სიგრძე-სიგანით თავს იჩენს ჩვენი კურსის დაცემა.

უბედურება დღეს კიდევ იმაშია, რომ ჩვენი კაპიტალი დღეს წარმოებას არ ეტანება. ვაჭრობა დღეს, ამ უსაქონლობის დროს, დიდ მოგებას იძლევა; ვინც საქონელს მოიტანს,—ბაზარზე მონოპოლისტიც იგი ხდება. ამის გამო ჩვენში მთელი ყველა კაპიტალის მუშაობა დღეს მხოლოდ სპეკულიაციაში გამოიხატება და დადებითი ღირებულება არ იქნება.

ამიტომ ვამბობდით ჩვენ, რომ საჭიროა წარმოებას ხელი მოჰკიდონ ჩვენმა თვითმართველობებმა—ერობებმა და ქალაქებმა. ეს არ ნიშნავდა, რასაკვირველია, კერძო ინიციატივის ჩახშობას. ერობებმა და ქალაქებმა კი უმთავრეს ნაწილათ ეს ისე გაიგეს, რომ მათ მეტი არავინ არ უნდა აწარმოებდესო. ამას არ უნდა ექნეს ალაგი მომავალში.

მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა თვით მუშათა ორგანიზაციებმა მიაქციონ ყურადღება წარმოებას, შრომის-ნაყოფიერებას თვალ-ყური ადევნონ, რათა არ იქნეს დაცემული ნაყოფიერება; ამ ორგანიზაციებმა თვითონ უნდა მიიღონ მონაწილეობა მუშაობის კონტროლში.

მაშასადამე, ჩვენი უპირველესი მიზანი უნდა იყოს შრომის ნაყოფიერების გაზრდა, საწარმოო ძალთა განვითარება, რასაც შედეგათ ის მოჰყვება, რომ აღდგენილი იქნება წონასწორობა ჩვენს იმპორტსა და ექსპორტს შორის, დამყარდება მტკიცე პროპორცია ფულსა და საქონელს შორის.

კატასტროფიდან თავის დასაღწევათ საჭიროა მიღებულ იქნეს მთელი რიგი ზომებისა.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ჩვენ დაგვჩემდა ზედმეტი ხელგაშლილობა; იხარჯება აუარებელი სიმდიდრე, იმდენი, რამდენიც წინათ არ იხარჯებოდა; სამაგიეროთ ღირებულება იქმნება ძლიერ ცოტა (ამ დროს შემოდის ამხ. ქ. კაუცკი, რომელსაც მთელი დარბაზი დაუსრულებელის ტაშის კვრით მიეგებება. მოკლეთ მიესალმება მას კრების სახელით თავმჯდომარე—ამხ. ნ. რამიშვილი. საპასუხო მისალმებას ამბობს მოკლეთვე ამხ. ქ. კაუცკი, რის შემდეგ მომხსენებელი განაგრძობს).

... საჭიროა ჩვეულებრივი გასავალი უდრიდეს შემოსავალს. თუ ეს არ არის, მაშინ შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა. ამ წონასწორობის დაცვა ჩვენი პირველი საგანია და აქ ჩვენ დიდი ბრძოლა დაგვჭირდება. უამისოთ ვერავითარი შემოსავალი სახელმწიფოს ვერ უშველის, ის მუდამ დეფიციტში იქნება.

ჩვენში ბევრი გაურბის შრომას; ანებებენ თავს სოფელს და მიდიან ქალაქებში ალაგის საძებრათ. „ალაგის ძებნამ" ამ ბოლო დროს ფართო ხასიათი მიიღო. დიდდება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურეების შტატები რაც ზედმეტ ხარჯებს ითხოვს და გასავალს ადიდებს. დაწესებულებებში მეტათ გავრცელდა აგრეთვე ბოროტ-მოქმედება. ძნელი მოსანახი იქნა ისეთი პირი, რომელსაც რაიმე საქმის გაკეთება მიანდო და მან ცოტა მაინც არ „ჩამორჩეს". ასეთ მოვლენებთან სასტიკი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ. ეს ზომები გატარებულ უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალურ დაწესებულებებში.

თქვენ იცით, რომ სახელმწიფოსა და მუნიციპალურ დაწესებულებებს, კომუნებს შორის ხშირათ გაუგებრობას აქვს ალაგი. კომუნები ხშირათ აჭარბებენ თავიანთ უფლებებს და ისეთ დადგენილებებს სცემენ, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. პარტიკულიარიზმი დემოკრატიზმის ფლაგით გაძლიერებულია ჩვენში და ის ანგრევს სახელმწიფოს მთლიანობას. ჩვენს პარტიაში ამაზე არ არის ნათელი წარმოდგენა. მაგ. „ახალი სხივი" ერობათა საკუთარ საბაჟო პოლიტიკას ამართლებს მით, რომ მთავრობაც ქეტავს მაზრებსო, ე. ი. მთავრობა და ერობა ერთნაირი უფლების არიან ამ საქმეში. ამას ნათლავენ დემოკრატიზმით. არის სამნაირი დემოკრატიზმი: 1) ანარქისტული დემოკრატიზმი; 2) წვრილ ბურჟუაზიული და 3) სოციალისტური, პროლეტარული დემოკრატიზმი. პირველ დემოკრატიზმს ყოველთვის ანარქისტები იცავდენ; ისინი აქ ლოღიკაში რჩებოდენ, ვინაიდან ანარქისტებს სძაგთ ყოველგვარი სახელმწიფოებრიობა. მათი ლოზუნგია კომუნების, კომუნებში პიროვნებების აბსოლიუტური თავისუფლება. წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატიზმი არის მეშჩანური კუთხური სივიწროვით და ჩამორჩენილობით გამოწვეული. წვრილი ბურჟუა არასოდეს არ იხედება თავის სამრევლოს იქით და ვერ დადგება ერის მთლიანობის საფუძველზე. მას არასოდეს არ აუშენებია სახელმწიფო და ვერც დღეს ააშენებს. ხოლო სოციალისტური, ანუ პროლეტარული დემოკრატიზმი არის ნამდვილი სახელმწიფოებრივი ფორმა ხალხის ორგანიზაციისა და მუშათა კლასიც ამ გზაზე სდგას. სახელმწიფოებრივ ნიადაგზე შეუძლია იდგეს მხოლოდ საზოგადოების ორ კლასს—პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას. სახელმწიფოებრივი მიზნები, რასაკვირველია ამ ორ კლასს სხვა და სხვანაირად ესმით, მაგრამ ეს არ არის არსებითი მხარე. ცხადია, საზოგადოების სხვა კლასები ვერც დააფასებენ სწორად ჩემ ბრძანებას და ყვირილი მორთეს: „დემოკრატიზმი" განსაცდელშიაო. მხოლოდ „ერთობამ" შესძლო დაეფასებია იგი სისწორით. განსაცდელშია არა სოციალისტური დემოკრატიზმი, არამედ მეშჩანური პარტიკულიარიზმი.

ჩვენ უნდა ერთხელ და სამუდამოდ თავი უნდა დავაღწიოთ პარტიკულიარიზმს და დავდგეთ ნამდვილ დემოკრატიულ, პროლეტარულ ნიადაგზე. ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები. კომუნებსა და სახელმწიფოს შორის გარდაუვალი საზღვარი არ უნდა იყოს, დაცული უნდა იქნეს საერთო მთლიანობა, უფლებათა განაწილების ფარგლებში.

ამნაირათ, ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა მოითხოვს მრავალ ზომების მიღებას ერთდაიმავე დროს. აქ ტენდენცია, პრინციპი ერთი უნდა იყოს. ჩვენ სოციალისტები ვართ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. ხშირათ ჩვენი მოქმედება იღებს ხოლმე წვრილ-ბურჟუაზიულ სახეს, ფორმას, რაც აიხსნება გლეხური უმრავლესობით საქართველოში. ამას სასტიკათ უნდა შევებრძოლოთ. ჩვენი პარტიამ, რომელიც ჰქმნის, შექმნა უკვე სახელმწიფოს,—ამ პარტიამ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენს წინ წამოჭრილ საკითხს და გადაჭრას იგი. ამ ნიადაგზე მოგვიხდება ყველაზე უფრო მძაფრი ბრძოლის წარმოება; ბრძოლა უნდა იქნეს მტკიცე, მუშაობა მეთოდიური...

თუ აქედან გამომდინარე ეკონომიურს და ფინანსიურს ზომებს გამოვნახავთ და მას სასტიკათ გავატარებთ ცხოვრებაში, მაშინ ჩვენ შევძლებთ კატასტროფის აცილებას, შევძლებთ შიგნიდან გავამაგროთ ჩვენი სახელმწიფო. და ამ მუშაობისათვის და თავდადებისათვის პარტიამ უნდა მოუწოდოს მთელ ხალხს და თვითონ მასში ისეთივე მხურვალე მონაწილეობა მიიღოს, როგორსაც ის იღებდა და იღებს პოლიტიკურ აღმშენებლობაში.

შემდეგი: Нѣсколько лѣтъ мусульмане бьются шашками въ центрѣ Турціи, уничтожаются и находятся въ крови и ранахъ, какъ на небѣ луна во время затменія, но все-таки продолжают они добиваться освобожденія. Въ настоящее время Грузіей занята неотъемлимая часть Турціи Батумъ и Бат. область...

На обѣщанную грузинами автономію нѣтъ намека и въ будущемъ соціалисты постараются при голосованіи притянуть народъ къ себѣ и народу не ожидать никакой пользы...

Въ будущемъ когда укрѣпится Грузія... жизнь ваше будетъ мучительно... и даже когда Вы будете въ могилѣ и тогда тамъ будете преслѣдоваемы. Все таки вы можете быть спокойнымъ и не наказаннымъ если всѣ Вы мусульмане будете соединены и можете организовать для полученія полной автономіи.

აქ გვარებია ჩამოთვლილი და მათ შორის ერთი „ბრწყინვალე წოდების მოლევწე" მუსულმანი .. и другимъ написалъ და სხვა...

როგორი უნდა იყოს полная автономія не отдѣлимой части Турціи (მართლწერა ყოველგან წერილისა დაცულია) ამას კომენტარიები არა სჭირია.

მეოთხე საბუთი იმისა, თუ როგორ ესმის ზოგიერთა სოფლებს ჩვენი ბათუმის ოლქში შესვლა, შემდეგია: ჩემთან მოვიდა სოფ. ხუცუბანის დელეგაცია ვინმე ზოჯის მეთაურობით. ის მეუბნება: ჩვენმა ძმებმა ქართველებმა უნდა გვიპატრონოთ, გვიხსნათ უნდა ყაჩაღების და ჩეტნიკებისაგან, რომლებიც როცა სოფლათ თარეშობენ, არაფერში ფასს არ გვაძლევენ, ისე გვქამენ და გვანადგურებენ. სანამ ხონთქარის საქმე ცუდათაა, მანამ, თქვენს მეტი პატრონი ჩვენ არ გვყავს. როცა ის ფეხზე ადგება და მისი ჯარი მოვა, მერე რაღა გვეჭირება და სხვადასხვა.....

მეხუთე საბუთი იმისა, თუ რას გამოელიან ბეგები ავტონომიისაგან, შემდეგია: მეჯლისის წევრი და თვალსაჩინო „მოლვაწე" მუსულმანი ახელციხელ მემამულეებს ეუბნება: „თქვენი საქმე გამობრუნდა, რადგანაც ახალციხე ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოში შევა თქვენ მიწები უკან დაგიბრუნდებათო".

კიდევ იტყვის ამის შემდეგ ვინმე, რომ ამგვარ სულის კვეთებით გამსჭვალულ პირებისთვის მართვა-გამგეობა ხელში უნდა გადავცეთ? ან რა საერთო ენის გამონახვა შეიძლება იმათთან? სამაგიეროთ არის სოციალისტური ახალგაზდობა ქართველ მუსულმანებისა, რომლებიც ჩვენთან არიან და საერთო სახელმწიფოებრივ მუშაობას აწარმოებენ.

უზენაესმა ორგანომ დამფ. კრებამ უნდა ალნუსხოს კომპეტენცია და ფარგლები ბათომის ოლქის საბოლოოთ მართვა გამგეობისა. რომ ცენტრისათვის, ყველა კითხვები გარკვეული იქნას, საჭიროა მასალა დაგროვილი იყოს, შესაფერი აღწერა მოხდეს. ამ სამუშაოს საწარმოებლათ მეჯლისიდან გამოყავი კომისია თოთხმეტი კაცისაგან შემდგარი და იგინი მოწოდებული არიან ამ სამუშაოსათვის, თუ კი კეთილ ინებებენ და ამას შეასრულებენ:

ამისათვის შესაფერი მატერიალური პირობებიცაა მათთვის შექმნილი და სხვა ყოველგვარი შესაძლებლობაც.

(შემდეგი იქნება)

# ერთი თუ ორი?

დემოკრატიულ საქართველოს შეიარაღებულ ძალას შეადგენს რეგულიარული ჯარი და წითელი, სახალხო გვარდია.

ჯარი და გვარდია, სალდათი და გვარდიელი! ხშირად უპირდაპირებენ ამ არსებითად ერთ მცნებას, ერთ შინაარსიანობას ერთი მეორეს და თითქოს, ქართველი საზოგადოების ზოგი წრეები უკმაყოფილონი არიან ასეთი დანაწილების. ზოგნი განზრახ უსისინებენ ერთმანეთს: აი შეხედე, გვარდიელს ყველაფერი აქვს, სალდათს არაფერი! ამას ამბობენ ისინი, ვინაც ფორმის იქით შინაარსს ვერ ხედავს, თუ არ უნდა დაინახოს.

გვარდია — ეს დემოკრატიაა, შეგნებული, ყოველ დღე ქარხანა-ყანაში მომუშავენი, ხნიერნი, რომელთაც დემოკრატიის ისტორიაში, რევოლიუციონურ მოძრაობაში მშვენიერი ფურცლები აქვთ.

ჯარი, სალდათი — ესეც მუშა და გლეხია, მხოლოდ ახალგაზრდანი, ყოველდღიურ პოლიტიკურ და სოციალურ ბრძოლაში ნაკლებათ გამოცდილნი და როგორც ასეთები, მაგრამ თუ გვარდია, გვარდიელი ასე თავგამოდებით იცავდა და იცავს ჩვენს დამოუკიდებლობას და ემსახურება მშრომელ ხალხს, ასევე მოქმედებს და იბრძვის ახალგაზრდა, ნორჩი რესპუბლიკანური ჯარი, სალდათი.

ანარქიულ გამოსვლებში, ყველა ფრონტებზე (შინაურ თუ გარეშე) თითქოს სალდათი გვარდიელს ეჯიბრებოდა: რომელი აჯობებს ბრძოლაში, ვაჟკაცობაში, და მართლაც, სადაც გვარდიელის სისხლი იღვრებოდა და იღვრის, იქვე სალდათის სისხლიც იღვრება და ასე ორი, სხვადასხვა ფორმა, ერთ აზრში, ერთ შინაარსში შედუღებული იცავდნენ და იცავენ მშრომელი ხალხის, მუშა-გლეხის, მთელი ქართველი ერის ინტერესებს დამოუკიდებელ საქართველოს, ჩვენ დემოკრატიას...

მაგრამ ეს არ კმარა, მუშაობა მომავლისათვის უფრო უნდა გაირკვეს, რომ შეგნებულად შევხვდეთ მომავალ ახალ ცხოვრებას და საერთაშორისო ინტერნაციონალში შესაფერი ადგილი დავიკავოთ. ამისთვის კი საჭიროა შრომა, ბრძოლა, კულტურულათ ამაღლება, შეგნება-განვითარება.

ამ მიზნით სამხედრო სამინისტროსთან დაარსდა კულტურა-განათლების სექცია, ასეთივე სექცია არსებობს გვარდიის მთავარ შტაბთან და ეს კულტურული დაწესებანი აწარმოებენ ერთ და იმავე საქმეს: შეიარაღებულ ჯარში ცოდნა-შეგნების შეტანას, მათ გონებრივ განვითარებას, რომ სალდათი, გვარდიელი თოფს რომ ხელს გაუშვებს, შეგნებულათ მოჰკიდოს ხელი ჩაქუჩს, კავ-სახნის და ამ საქმისთვის უნდა არსებობდეს **გონებრივი ცენტრი**, ბეჭვდითი ორგანო, სადაც გამუქდება ყოველივე საჭიროებანი ჯარის და გვარდიის და ასე დავეხმაროთ ჩვენს ხალხურ მთავრობას.

სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექცია სცემს ჟურნალ „მხედარს", რომლის ნაკლულევანობა-ღირსებაზე სხვა დროს გვექნება საუბარი.

როგორც ვიცით, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბსაც განუძრახავს ბეჭვდითი ორგანოს გამოცემა და ამ წერილის მიზანიც ის არის, რომ შევქმნათ **ერთი** ორგანო, **საერთო ჟურნალი**. ეს ერთი მხრივ ძალთა ეკონომია იქნება და მეორე მხრივ — როგორც ბრძოლის ველზე იარაღით ხელში გვარდიელი და სალდათი ერთ აზრს ემსახურებიან, ისე ერთ ორგანოში (ჟურნალი იქნება თუ ყოველდღიური გაზეთი) ერთ მიზანს ემსახურებიან და ასე უფრო მალე დაუახლოვდებიან ერთი-მეორეს და მე ვფიქრობ, რომ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი და მისი კულტურული სექცია ყურადღებით მოეპყრობა ამ სტრიქონებს და თავის აზრს გამოსთქვამს: — თუ რა იქნება უფრო უკეთესი **ერთი თუ ორი ბეჭდვითი ორგანო?**

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დაინტერესებული მხარეები თავის აზრს გამოსთქვამენ ამ საკითხის შესახებ. მე კი ვფიქრობ, რომ ერთი ორგანო საქმისთვის უფრო მიზანშეწონილია, რადგან ყველანი ერთად უფრო ადვილად ავწევთ ცხოვრების დიდ სიმძიმეს.

დ. ქ—ძე.

# რკინის გზაზე.

არა ერთხელ და ორხელ ყოფილა აღნიშნული ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ყველა ის უწესრიგობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა და დღესაც აქვს საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზაზე. მაგრამ, სამწუხაროთ, რკინის გზის ზოგიერთ მოსამსახურეებზე გაზეთმა ისე იმოქმედა, როგორც მგლის თავზე სახარების კითხვამ.

მიუხედავათ ამისა, არ შემიძლია ერთხელ კიდევ არ აღვნიშნო ის ფაქტი, რაც თვით მე შემემთხვა და აგრეთვე მოწამეც გავხდი 6 ოქტომბერს ქ. ლანჩხუთიდან ქ. ტფილისამდე მოგზაურობის დროს. ერთ ერთ საზოგადო დაწესებულების აუცილებელი საქმისთვის, რომელიც გადადებას არ ითმენდა, მე მომიხდა მოგზაურობა აღნიშნულ რიცხვს ქ. ლანჩ. ქ. ტფ. მატარებელ № 8-ით. მატარებელზე რომ არ დავრჩენილიყავი, — დილის ოთხი საათი იქნებოდა როცა სხვა მგზავრებთან ერთად, მეც საბილეთო კასასთან რიგში ჩავდექი. სამ საათ ნახევარი რიგში ყოფნის შემდეგ, როცა მატარებელი გამოვიდა სად. ჯუმათიდან რვას ნახ. საათზე ბილეთის გამყიდველმა გამოგვიცხადა: დეპეშა მოვიდა, რომ ბილეთები არ გავყიდოვო.

მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო ბილეთების ყიდვა უკანა კარებიდან. (რიგ გარეშე).

რა თქმა უნდა, ასეთმა საქციელმა მგზავრებში სამართლიანი გულის წყრომა და უკმაყოფილება გამოიწვია. ვინაიდან საქმე ასე მოეწყო, მე იძულებული გავხდი შემდეგ სადგურამდე უბილეთოდ წამოვსულიყავი და ჯარიმაც გადამეხადა, რაც კიდეც შევასრულე.

სად. ნიგოითში და საჯავახოში ბილეთი არ მომყიდეს, რადგანაც აღნიშნული მატარებლის რევიზიას დეპეშები დაეგზავნა, რათა ბილეთები არ გვეყიდათ. სამტრედიამდე სხვა მგზავრებთან ერთად გადამახდევინეს ჯარიმა 300 მან, რაშიაც სათანადო კვიტანციასაც არ იძლეოდნენ: მივიღე მხოლოთ ბევრი ხვეწნის შემდეგ.

სამტრედიაში მატარებელს ბევრი მგზავრი მოაკლდა და მატარებელშიაც თავისუფალი ადგილი მოიპოებოდა; ბილეთების გაყიდვაზე კი მაინც უარს აცხადებდნენ. ჩვენ ვთხოვეთ სად. უფროსს გაევლო მატარებელში, — რათა თვით დარწმუნებულიყო სინამდვილეში. როგორც ვიცი, მან ჩვენი თხოვნა შეასრულა, რის შემდეგ დაიწყო ბილეთების გაყიდვა. მაგრამ ასეთი უწესრიგობის გამო, ბევრი მგზავრი დარჩა, როგორც ლანჩხუთ ნიგოით საჯავახოში, აგრეთვე სამტრედიაშიაც. საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს ასეთ მოვლენებს, ვისგანაც ჯერ არს.

თეოფანე ზემო-აკეთელი.

# ს.-დ. პარტიაში

**გორი.** 3 ოქტომბერს, შესდგა პირველი რაიონის კოლექტივის მორიგი კრება, რომელსაც დაესწრო მთელი შემადგენლობა კოლექტივის წევრებისა, გარდა მ. როსებაშვილისა. უკანასკნელს სხვადასხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდება. იქონია რა მსჯელობა კოლექტივმა ყველა ჩამოთვლილ ბრალდებების შესახებ, რაც დამტკიცებულ იქნა უტყუარ საბუთებით გამოიტანა შემდეგი დადგენილება: რადგანაც მიშა როსებაშვილმა, ზემო აღნიშნულ ბრალდებებზე ვერ წარმოუდგინა კოლექტივს საკმაო თავის გასამართლებელი საბუთები, ამისათვის კოლექტივს ამიერიდან ყოვლად დაუშვებლათ მიაჩნია, რომ მიშა როსებაშვილი იქნეს არჩეული რაიმე პარტიულ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ან სხვა მუშათა პროფესიონალურ კავშირებში. ეს დადგენილება ეცნობება ყველა ორგანიზაციებს პრესის საშუალებით.

გორის 1 ლი რაიონის კოლექტივი.

**სამტრედია.** პირველ ოქტომბერს შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. სამტრედიის ქალაქის კოლექტივის პირველ კრებაზე. დღის წესრიგი იყო, კოლექტივის ბიუროს და სარევიზიო კომისიის არჩევნები. კრების გახსნის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ალ. ასკურავა. მდივნობს გიგო შენგელია. კრება თავის წევრთ თავმჯდომარეთ ირჩევს ამხ. კალე კახიანს. მდივნათ გიგო შენგელიას. ბიუროში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1) ლ. ბუაძე, 2) კალისრატე რუხაია, 3) დარისპან ხუჭუა და 4) ჩაჩუა. სარევიზიო კომისიაში: 1) სევ ხვიჩია, 2) გ. შენგელია და რ. მუქერია. თავმჯდომარის ამხანაგათ ლ. ბუაძე, ხაზინდრათ ჩ ჩუა.

კომიტეტის კანდიდატების დასახელება მიანდვეს ბიუროს და არჩევნები გადაიდო მომავალ კვირისთვის.

სევ. ხვიჩია.

# მუშათა შორის

მოწოდება.

**შავ-ქვაზე მომუშავე ყველა დარგის მუშებისა და მოსამსახურეების მიმართ.**

ამხანაგებო! თქვენ იცით თუ რა მნიშვნელობა აქვს ჭიათურის მრეწველობას, როგორც სამუშაოს, ჩვენთვის, მუშებისათვის. კიდევ მეტი, ათასჯერ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მრეწველობას ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისათვის: რესპუბლიკას უმთავრეს სავალიუტო საქონელს მარგანეცი შეადგენს, ესაა ჩვენი ყავარჯენი საზღვარ გარეთის ბაზარზე, და ეს ჩვენი იმედი, ამხანაგებო, დღეს საფრთხეშია. მას მოელის აყვავების მაგიერ სრული დაცემა მრეწველთა გაუმაძღრობის გამო იმის გამო, რომ ზოგი მრეწველი მარგანეცის მაგიერ მიწას ეზიდება. ვისაც თქვენგანს დიდი ხნიდგან უმუშავნია აქ, მან იცის თუ რა შედეგს იძლევა ხოლმე ასეთი მოვლენა. გახსოვთ როგორ დაეცა ჭიათურა 1902—1903 წლებში და შემდეგ 1908—1911 წლებში. ამის მიზეზი უმთავრესათ იყო ის, რომ კრიზისის წინა წლებში შავი-ქვის მაგიერ შავი მიწით ავსეს ბაზარი. ხომ გახსოვთ, როგორ განადგურდა მაშინ მუშათა ორგანიზაციები, როგორ დაიფანტა დამშეული მუშები. მრეწველები კი მიწაში აღებული ფულებით კურორტებზე ქეიფობდნ. ამასვე გვიმზადებენ ეხლაც, ხოლო ეხლა ჩვენთან, ჭიათურის მუშებთან ერთად დაიმშევა ჩვენი რესპუბლიკაც, ვინაიდან საზღვარ გარეთიდან ალარაფერი შემოვა თუ იქ შავი ქვის მაგიერ შავ მიწას გავაგზავნით.

თქვენი ნდობით აღჭურვილმა კავშირების საბჭომ იქონია მსჯელობა ამ კითხვაზე და იმ გზას დაადგა, რომ თავის ხელში აიღოს შავი-ქვის მრეწველობის კონტროლი მისი ხარისხის შესახებ და აირჩია ყალბი ქვის გზავნის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია. საბჭო ავალებს მეურმეთა კავშირს არ წამოიღოს მიწა ან გაურჩეველი ქვა; ავალებს მწონელთა კავშირს არ აწონოს ურმები, რომლებზედაც კომისია მიუთითებს, ხოლო დამტვირთავ მუშათა კავშირმა არ უნდა დატვირთოს ვაგონები იმ საწყობიდან, რომელსაც კომისია დაბრაკავს. მაგრამ, ამხანაგებო, მარტო კომისია ვერას გახდება. საჭიროა ყველა მუშამ და ყველა მოსამსახურემ შეიგნოს, რომ ყალბი ქვის გზავნა მისი და მისი რესპუბლიკის დაღუპვას აახლოებს და ამ შეგნებით ყველა შევებრძოლოთ ჩარჩების ოინბაზობას. ყველა მუშა-მოსამსახურეებმა ფხიზლად უნდა უყუროს, სად რა ხდება და შეატყობინოს საბჭოს კომისიას, ხოლო კომისიის დადგენილება სისწორით აღასრულოს.

ეს ერთად ამხანაგებო და საფრთხეც საშიში აღარ იქნება.

ძირს სიყალბე.

**ჭიათურის მუშათა კავშირების საბჭო.**

# პროვინცია

**შინა-მრეწველობის განყოფილება.**

ერთი თვის წინად შინა-მრეწველობის განყოფილებას პარმენ ყ. დადეშიძემ მიმართა მათი საქსოვი ქარხანა ქ. ქუთაისში ყოველ იარაღებით, ინვენტარით და შენობით ჩაებარებინა ერთი წლით უსასყიდლოდ შინა-მრეწველობის განყოფილებას. წინადადება განყოფილების გამგემ წარუდგინა მიწად-მოქმედების მინისტრის ამხანაგს, რომელმაც ძმებს დადეშიძეებს გამოუცხადა მადლობა. 23 სექტემბერს, შინა-მრეწველობის განყოფილებამ გაგზავნა თავისი წარმომადგენლები ქ. ქუთაისში, რომლებმაც მთელი ზემო აღნიშნული ქარხანა ჩაიბარეს, განყოფილება ამ დღეებში ქარხანას აამუშავებს.

შინა მრეწველობის განყოფილებას დიდი ხანია სასურველად ჰქონდა გაეხსნა საფეიქრო სახელოსნო ქუთაისში და ძმ. დადეშიძეების წინადადება ძრიელ ხელსაყრელია განყოფილებისათვის და ზემო მოხსენებული პირები მადლობის ღირსი არიან სახელმწიფო დაწესებულების ხელის შეწყობისათვის.

ალ. ულენტი.

**ხოფ. დიღომი.** (ტფილისის მაზრა) კვირას, 10 ოქტომბერს აქ შესდგა კრება, რომელსაც დაესწრნენ სამაზრო ერობის თავმჯდომარე დ. ონიაშვილი, გამგეობის წევრი ლ. ასათიანი და თემის თავმჯდომარე ტ. სალარიძე. კრების თავმჯდომარეთ იყო ერთხმად არჩეული ილ. სონღულაშვილი. გასარჩევი იყო თემების დანაწილება. კრების გახსნისთანავე მოხსენება გააკეთა დ. ონიაშვილმა, რომელმაც გააცნო ხალხს ერობის და თემის დამოკიდებულება სოფელთან. შემდეგ ილაპარაკა ასათიანმა, თემის თავმჯდომარე სალარიძემ, ინჟ. ყიფშიძემ და ადგილობრივ მცხოვრებმა — რომლებმაც თავიანთი აზრი გამოსთქვეს თფილისში არსებულ გარე უბნის თემის შესახებ: დანაწილებულიყო იგი თუ არა. კამათის შემდეგ კენჭის ყრით, ერთხმად დაადგინა ხალხმა, რომ თემი უეჭველად ადგილობრივ უნდა ყოფილიყო-რადგანაც მეტ ნ ყოფს მოუტანდა თვით სოფელს და აგრეთვე მთავრობას. ხალხმა მისცა პირობა ერობის თავმჯდომარეს, რომ შეეცდებიან უკეთესს და სინდისიერ-შეგნებულ პირების არჩევას, მომავალ თემის გამგეობაში. ამის შემდეგ კრება იქნა დახურული.

ჯერ არ სწვევია დიღომს ასეთი ძვირფასი სტუმრები, რომლებმაც დიდათ ნასიამოვნები დასტოვა სოფელი და იმ დღეს ყველა სიხარულით ეგებებოდა ერთი მეორეს. ხალხს რაღაცის იმედი მიეცა, მან იგრძნო რომ შეიძლება თავი დააღწიოს ამ ძვირფას სტუმრების დახმარებით გაჭირვებულ მდგომარეობას. აქაურ ხალხს ჯერ არ უგვრძვნია თავისუფალი ცხოვრება და ბოროტ პირთა ჰქავდა უღლის ქვეშ. კვნესის სოფელი. იმედია ხალხი შეუდგეს ახალ ცხოვრებას და სოფლის აშენებას.

ჯერ დღეს ბევრი რამ აკლია კიდევ, სკოლა ნაკლებია, სამკითხველო ბიბლიოთეკას ჯერ სძინავს და სოფლის კოოპერატივი ხომ ჩაკეტილი იყო და რაც იყო შიგ ისიც თაგვებმა შესჭამეს.

ხოწელელი.

**ნიგვზიანის თემი** (გურია). 3 ოქტომბერს შესდგა ნიგვზიანის პირველ დაწყ. სასწავლებლის დარბაზში დამფუძნებელი კრება „კულტურულ წრისა" მირიან აფხაზავას თავმჯდომარეობით და მ შა ჭყონიას მდივნობით.

მოხსენება გააკეთა მასწ. ანტონ ჯიჯიეშვილმა. მან აღნიშნა ასეთი წრის მნიშვნელობა, რასაც კრება თანაგრძნობით შეხვდა. ცხარე კამათი გამოიწვია გამგეობის ფუნქციებმა, რომლის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი წინადადება: არჩეულ იქნას გამგეობა, რომელსაც მიენდოს მხოლოდ საკვირაო სკოლის ხელმძღვანელობა. გამგეობაში - აირჩიეს ხუთი კაცი 1. ი. ჩხარტიშვილი, 2. მ. ლიპარტელიანი, 3. ა. ჯიჯიეშვილი, 4. ილ. ტყეშელაშვილი და 5. მ. აფხაზავა კანდიდატებათ ნიკოლაიშვილი და ნოე ტუღუში. მეცადინეობა დაიწყება ნოემბრის პირველ რიცხვებში. წრის წევრთ ევალებათ ხელი შეუწყოს ფართე მასსის ამ საქმეში ჩაბმას. ამასთან არჩეულ იქნა სახალხო სახლის საამშენებლო კომისია სამი პირისაგან შემდგარი 1. ტ. ტუღუში, 2. ა. მურვანიძე და 3. ვ. ჭყონია. პირველ დღეს ჩაეწერა 47 წევრი.

ვ. აფხაზავა.

**ს. მარტყოფი.** მარტყოფი თფილისთან ახლო მდებარე სოფლებ შორის უდიდესი სოფელია. მცხოვრებთა რიცხვი 1200 კომლს აღემატება და მდებარეობს თფილისიდან აღმოსავლეთით 25 ვერსის მანძილზე. მცხოვრებთა უმრავლესობა ღარიბია და წერა-კითხვის უცოდინარია. მარტყოფელების საარსებო წყაროს უმთავრესათ პურის მოსავალი შეადგენს. ხვნა, თესვა, მკა, თიბვა და სხვა, ძველებური წესით და იარაღებით სწარმოებს. ევროპიულ მანქანებს იშვიათათ შეხვდებით. საწყავი მიწები ურწყავია და ამისთვის აქაური მეურნეობა აღალ ბედზე სწარმოებს. მარტყოფელებს ხშირათ აუღიათ ხელი უწვიმრობაგადაგვალულ მოსავლიდან და მისცემიან შემოდგომის მწარე ფიქრებს. გვალვას გარდა სხვა მტერიცა ჰყავს აქაურ მოსავალს. წელს მთელი გარე კახეთის და, კერძოდ, მარტყოფის მოსავალი ისე გაანადგურა მინდვრის თაგვმა, რომ ზოგმა ერთი თავთავიც ვერ მოიტანა სახლში. გამოვიდოდა მომკალი მინდვრათ, გადაავლებდა თვალს თაგვისაგან განადგურებულს თავის ნაამაგარ ყანას, უნებურათ გაიქნევდა თავსა და ნამგლით ხელში ნაღვლიანი დაბრუნდებოდა სახლში. და დღესაც გარე კახეთის მინდვრები საშინლათ არის დაცხრილული თაგვის სოროებით და ვინიცის შესძლებს თუ არა სათანადო ორგანიზაცია ამ სენის მოსპობას, თუ ამ ზაფხულივით მშრომელს ხახა მშრალს დასტოვებს, ხოლო სახელმწიფო ფონდს კი ათი ათას ფუთობით ხორბლეულს მოაკლებს. ამას კი ვიტყვი, რომ საქმე მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლოა და საჭიროა სწრაფი და ენერგიული ზომების მიღება ამ ჭირის თავიდან ასაცილებლათ.

უგზოობის გამო ამ კუთხეში მოგზაურობა ძალიან გაძნელებულია და ზოგჯერ ავდრიან ამინდებში თითქმის შეუძლებელიც. ამისათვის, მიუხედავად მიმზიდველი ბუნებისა, ქალაქიდან მოსულ კულტურულ ადამიანს ძვირად შეხვდებით.

ამ კუთხეში კულტურის შესატანად საჭიროა გზა. უამისოდ რაც უნდა ხანი გავიდეს, ქვეყანაც რომ გადაბრუნდეს, მარტყოფი მაინც ჩამორჩენილ ქვეყანათ დარჩება. და რომ ასე არ მოხდეს, თფილისამდის გზის გასაკეთებლად არც ერობამ და არც ამ კუთხის სოფლებმა არ უნდა დაზოგონ მთელი თავისი ძალა და ღონე.

მთელი კულტურული მუშაობა ადგილობრივ მცხოვრებთა მცირეოდენი შეგნებული ნაწილის ანაბარაა მიტოვებული. ბევრი მოწადინებულია კულტურული მუშაობისათვის. ამ ზაფხულს რამდენჯერმე გაიმართა წარმოდგენა. სამწუხაროდ შესაფერი ბინის უქონლობა ხელს უშლის პიესების ხელოვნურად დადგმას. ამას წინად მარტყოფში შესდგა მცხოვრებთა საზოგადო კრება ლევან ასათიანის თავმჯდომარეობით. კრებამ იქონია მსჯელობა კულტურული მუშაობის შესახებ და აირჩია თეატრის საამშენებლო კომისია, რომელიც უკვე შეუდგა წინასწარ მუშაობას.

საზოგადო საქმეებს, წარმოდგენებს ლექციებს მარტყოფელები თავიდანვე თითქმის ცის ქვეშ ისმენდნენ. კულტურული მუშაობის განსავითარებლად მარტყოფში თეატრის აშენებას დიდი მნიშვნელობა აქვს მით უმეტეს, რომ იგი მრავალი სოფლების ცენტრია და მასში დანთებული ლამპარი ცხოველ-მყოფელ შუქს მოჰფენს მეზობელ სოფლებს და თვალსაჩინო მაგალითად გადაიქცევა მთელს გარე კახეთში.

ნიკ. გვანცელაძე.

# წერილი რედ. მიმართ

ბატ. რედაქტორო! გთხოვთ ნება მომცეთ შემდეგი წერილით მივმართო გვარდიელ გიორგი ამბაკოს ძე ებრალიძეს!

აღერბეჯანის ფრონტზე ყოფნის დროს, როდესაც დამარცხებულმა მტერმა ზავი ითხოვა და ომი შეჩერდა, ჩვენი არტილერიის მე-9-ე ბატარეის გვარდიელებმა შევიყარეთ თავი და გვინდოდა გაგვეგზავნა საველე შტაბში ერთი ამხანაგთაგანი, რათა გაეგო, როგორ მიდიოდა მოლაპარიკება; ამ დროს თქვენ წამოიჭერით წინ და მოგვმართეთ ასეთი წინადადებით: ჩვენ, ამხანაგებო, ამ წუთში კატეგორიულად მივმართოთ საველე შტაბს, რომ გაგვიშვან ქალაქში, თუ შტაბი უარს გვეტყვის, ჩვენ მივატოვოთ ზარბაზნები და წავიდეთო. ასეთ თქვენს წინადადებას პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა, რაც მაშინვე შეგნიშნეთ, თქვენ მომავარდით და დიდი შეურაცყოფა მომაყენეთ სხვადასხვა უწმაწური სიტყვებით. ამის შემდეგ საედიატორო სასამართლოში გამოგიწვიეთ, რაზედაც დამთანხმდით, მაგრამ ამდენი ხანი გადის მას შემდეგ და არ იქმნა ვერ ველირსე თქვენს ნახვას. მე ახლაც ვამბობ, რომ თქვენი მაშინდელი გამოსვლა ნამდვილი პროვოკატორული იყო და გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში. ვადას გაძლევთ დღეიდან ამ წერილის დაბეჭდვისა ერთ კვირას. მედიატორებს მაშინ დავასახელებ, როცა თქვენგან თანხმობას მივიღებ. თუ არ გამომყვებით, იმ შემთხვევაში, ვიტოვებ უფლებას შესაფერი სახელი გიწოდოთ თქვენ საჯაროდ.

საარტილერიო ბრიგადის მე 6 ე საგაუბიცო ბატარეის გვარდიელი

ბორისი ჯაში.

რედაქტორი ლევან წითაძე

# განცხადებანი

## ამით ვაცხადებ

რომ მე 11 ივლისიდან 1920 წ. გამოვედი კომუნისტური პარტიიდან და ვაცხადებ თავს უპარტიოთ. **კაპიტონ მელიქაძე.** (კუპ. 956 1—)

ვასწორებ ჩამორჩენილს მოწაფეებს

მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა შ ი

ბავშვებს და მოზრდილთ ვამზადებ

## მე 2, 3, 4, 5, 6 კლასის

მოწმობის მისაღებად და ყველა სასწავლებელში შესასვლელად ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25, (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან 5) ი. მ. მაჩაიძის ბინა. (3333 10—2)

ექიმი

დავით ლუკას ძე

## კ ი ღ უ რ ა ძ ე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

## ქალი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

ექიმი

## დ. ვ. ჯავახიშვილი

დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 (სავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (18—ოქტ.)

ექიმი

## ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (14 ოქტ.)

ექიმი

## პ. ტყეშელაშვილი

ღებულობს ავათმყოფებს:

**საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ.** (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 1/2 საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1. (12 ოქტ.

კბილის ექიმი

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

## კ ე რ ძ ო ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის**

ე ქ ი მ

## ე. მ. მძინარიშვილისა

**შეშხაპუნება „606" და „914".** ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4-8 ს. ფასი 100 მ. უსახსროთათვის უფასოდ 12—2 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ნოემ.)

## ქ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის საამმართველოს პირდაპირ. (7 ნოემ.)

ექიმი

## ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს სახებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

დოქტორი მედიცინისა

## ვ. პ. მოსეშვილი

დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ე ქ ი მ ი

## ი. ა. ლომოური

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4—ოქტ.)

## სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

## მიხეილ. გედევანიშვილისა

დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—ნოე.)

## ქალი მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და შარდის სნეულებები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4 5 ს. კვირაობით [illegible] დილით. [illegible] ქ. № 73. (21 ნოე.)

ე ქ ი მ ი

## ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 (ს საღ. 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე.)

ე ქ ი მ ი

## ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ე ქ ი მ ი

## ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მისკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1 ნოემ)

მედიცინის დოქტორი

## ა. ა. მონსე

განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10 1/2—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

ე ქ ი მ ი

## ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

# განცხადება

ა. წ. 17 ღვინობისთვეს, დილის 10 საათზე, მე-7 ქვეითი ათასეულის ბინადრობის ეზოში გაიყიდება სახაზინო ცხენები

## საჯარო ვაჭრობით.

(3350 1—1)